645
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1980 წ.

ISSN 0321-1509





გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში სამაგალითო შრომით გამოირჩევა კომკავშირელი თამარ ხუციშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო


„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

16.429

საქართველო—60

# ჭერემის ახალი სიცოცხლე

სიცოცხლე აქ ახლად იღვიძებს, როგორც გაზაფხულზე, მიწა, რომ გათბება, ბალახი ჯერ აქა იქ რომ ამოიწვერება, შიშველ ტოტებზე კვირტები რომ დაიბერება...

ასეთი გაზაფხული იქნებ პირველად არ უდგას ჭერემს. უკვე მრავალი საუკუნეა, რაც ამ სოფელს ახსენებენ და ალბათ სხვა დროსაც მინელებულა მისი სიცოცხლის მაჯისცემა... მაგრამ, როგორც ჩანს, მართლაც მძლავრია ამ მიწაში გადგმული ფესვი და მას ვერასდროს ვერაფერი ამოძირკვავს.

რა ასაზრდოებს ამ უკვდავ ფესვს, სად პოულობს სიცოცხლის ნექტარს? უსათუოდ იმ მუყაით, იმ გამრჯე და იმედიან, გაუტეხელ, გულმაგარ და მკლავმაგარ ხალხში, ვისაც სიცოცხლე, ვისაც თავისი მიწაწყალი ისე უყვარს, რომ ვიდრე მიწაზე დააბიჯებს, ამ სიყვარულს ვერაფერი გადაავიწყებს... ბოროტებას და უგუნურებას სიკეთით სავსე გულს შეაგებებს, ასჯერაც რომ დაუნგრიონ საკუთარი ხელით ნაგები იმედის კოშკი, მაინც მზად არის, მივიდეს და მიეპატრონოს, ისევ თავიდან ააშენოს, ისევ თავიდან მოაჩუქურთმოს, ისევ გუთანს მოჰკიდოს ხელი, ბარსა და ნიჩაბს, ნამგალს და ცელს, სასხლავს და საკაფს...

ჭერემი ახლა თავიდან შენდება. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ სიცოცხლე შეწყდა. თითქოს დამთავრდა ორიათასი წლის ისტორია, თითქოს გაჰქრა მიწის პირიდან ჭერემ-ქალაქი ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროს საქვეყნოდ ცნობილი... ჭერემ-ქალაქი, რომლის სახელს არაერთხელ იხსენიებს „ქართლის ცხოვრება" ნეკრესთან და ხორნაბუჯთან, უჯარმასთან, მაგლისთან ერთად. გაჰქრა, ძეძვმა გადაუარა, ჭინჭარმა შთანთქა...

მაგრამ აი, სამი წლის წინ აქ პირველი ჭერემელები ამობრუნდნენ. მათ სხვებიც მოჰყვნენ... იმ სხვებს სხვები მიემატნენ — გამრჯენი და იმედიანნი, გულმაგარნი და მკლავმაგარნი. უძველესი ტაძრის ნანგრევებს შეეფარნენ, გადარჩენილი კაკლების და ცაცხვის ხეებქვეშ კარვები დაიდგეს. ამუშავდა მათი წერაქვი, ქაფჩა, ნიჩაბი... ჭერემ-ქალაქში ისევ სიცოცხლემ გაიღვიძა.

შუა სოფელი. პროექტის მიხედვით აქ აშენდება სოფლის საბჭო, ბიბლიოთეკა, სკოლა, სასტუმრო... ამჟამად მშვენიერი ცაცხვის ჩრდილქვეშ წყალი მოჩქეფს. პირველად წყარო განაახლეს ჭერემლებმა. მარჯვნივ სკოლის ახალი შენობის დამთავრებას არცთუ ისე ბევრი უკლია. მარცხნივ, ძველი ტაძრის ეზოში ასწლოვანი ცაცხვების ქვეშ გოგო-ბიჭები ბურთს თამაშობენ. ირგვლივ მხოლოდ ნაფუძარზე აგროვილი ქვა-ღორღი

ყრია. მოშორებით ორი ფინური სახლი მოჩანს. ერთი სკოლაა, ხოლო მეორე — ბიბლიოთეკა. აქვეა პატარა მაღაზიაც. ნაფუძარებთან სახელდახელოდ აშენებული ბინებია, მოშორებით კი — უკვე საძირკველს აცილებული რამდენიმე ახალი სახლი. ცაცხვები ყვავის, ცაცხვის სურნელი ყოველ ნაბიჯზე თან დაგვყვება...

პირველად სოფლის ბიბლიოთეკარს — ლილი ბურდულაძეს და პარტიის გურჯაანის რაიკომის პარტკაბინეტის გამგეს — ზურაბ წიკლაურს ვესაუბრეთ.

ლილი ბურდულაძე ჩუმლაყში ცხოვრობდა, გურჯაანში მუშაობდა, მაგრამ დედ-მამა ჭერემელი ჰყავს. ჭერემის სიყვარულიც მათ ჩაუნერგეს. ლილი 1978 წლის ზაფხულშივე ამოვიდა ჭერემში. წლის ბოლოს სოფელში ბიბლიოთეკა გაიხსნა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ჭერემლებმა მას დაავალეს. ამ პატარა ბიბლიოთეკას ახლა 600-700 წიგნი აქვს, მაგრამ, როგორც ლილი ამბობს, წიგნებს გამოუგზავნიან უნივერსიტეტი, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, მწერალთა კავშირი, ისე რომ, წიგნების რაოდენობა მალე საკმაოდ გაიზრდება, გაიზრდება მკითხველთა რიცხვიც. შარშან სოფელში სკოლა არ იყო, იყო მხოლოდ კლას-კომპლექტი შვიდი ბავშვით. ახლა სკოლის მშენებლობა მთავრდება და ალბათ მალე რვაწლიანი სკოლა იქნება. ბუნებრივია, ეს მკითხველთა რიცხვსაც გაზრდის.

— პირველად რომ ამოვედით, ჯაგნარით იყო დაფარული აქაურობა, ნასახლარებზე ჭოტები კიოდნენ, ბუებს თავ-პირი ჩამოსტიროდათ, — გვიამბობს ლილი. ახლა ჭერემი უკვე სოფელს დაემგვანა, გვაქვს გზა, ტელეფონი, ყველგან ელექტრო-ნათურები კაშკაშებს... სოფელი გეგმის მიხედვით შენდება, მოეწყობა უბნები, ქუჩები, ცენტრი, ისე, რომ, ვფიქრობ, ჭერემიდან არსად არ წავალ და ბოლომდე აქ ვიცხოვრებ.

ამ სოფლის ორი მასწავლებელი — ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ლუიზა და ოთარ დათუნაშვილები ჭერემელები არ არიან. მაგრამ ჭერემელთა ენთუზიაზმს მოუხიბლავს ისინი, უმაღლესი სასწავლებლიდან პირდაპირ აქ წამოსულან და მათთან ერთად აშენებენ ახალ სოფელს, იზიარებენ აქაურთა ჭირსა და ლხინს. განსაკუთრებით, ცხადია, სკოლის მშენებლობაა მათთვის ყველაზე მტკივნეული. ეს საკითხი ახლა სოფლის უპირველესი საზრუნავია.

ჭერემის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანს — მიხეილ ბარბაქაძეს შევხვდი.

აი, როგორი დიალოგი გაიმართა ჩვენს შორის:

— რით აიხსნება თქვენი ასეთი სიყვარული ჭერემისადმი, ალბათ, განსაკუთრებულია იგი?

— განსაკუთრებული იმით არის, რომ ბუნებით მდიდარია, წყლები კარგია, ჰაერი კარგია, მიწა მოსავლიანია, მართალია, მთის სოფელია, მაგრამ რაც კი ალაზნის ველზე მოდის, აქაც მოდის — ხილი, ბოსტნეული, ხორბალი, სიმინდი, საზამთრო...

— ვაზი თუ ხარობს?

— საუკეთესოდ...

— რა ჯიშებია?

— რქაწითელი, საფერავი, მწვანე... ამჟამად ტყეში შემორჩენილია გაველურებული ჯიშის შავი ყურძენი, არაჩვეულებრივი ყურძენია.

— ასწრებს?

— თავისუფლად... ცოტა მაღლა ვერ ასწრებს, მაგრამ ვენახი დაბლა გვქონდა; ღვინო არაჩვეულებრივი მივიღეთ.

— რა სიმაღლეზეა ჭერემი?

— 900 მეტრი უნდა იყოს ზღვის დონიდან.

— სახნავი საკმაოდ გაქვთ?

— საკმაოდ.

— მეცხოველეობა-მეფრინველეობა?

— ჯერჯერობით 3000 წიწილა შემოვიყვანეთ და მშვენივრად გაიზარდა, ალბათ ბუნების ამბავიც არის, ჰაერისაც...

— საქონელი გყავთ?

— ვაპირებთ კარგი ჯიშის ღორის შემოყვანას. ძროხა გვყავს... მოსახლეობა უვლის ფუტკარს. ზოგიერთი ფუტკარი ტყიდან მოვიყვანეთ, თითოეულმა ძირმა ორ-ორი, სამ-სამი ნამატი მოგვცა.

— ბინების მშენებლობის საქმე როგორ არის?

— თორმეტი ბინაა დაწყებული, საძირკველს ზემოთ ამოწეული. ერთი ბინა უკვე ორ სართულზეა ამოყვანილი, დანარჩენები თანდათან იწევენ მაღლა... შემოდგომისათვის დაახლოებით 30 სახლი დამთავრდება.

— აი, მაშინ იქნება სანახავი ჭერემი!

— ნამდვილად კარგი იქნება!

— რამდენი სახლის აშენებას აპირებთ, პერსპექტივაში როგორაა გათვალისწინებული...

— გენერალური გეგმა 160 კომლზეა გათვალისწინებული, მაგრამ რამდენიც უნდა ამოვიდნენ, მივიღებთ... ოღონდ მხოლოდ ჩვენი სოფლის ხალხს.

— როგორ ფიქრობთ, ყველა დაბრუნდება?

— ვფიქრობთ, დაბრუნდება, იმიტომ რომ ახლა, როცა გვიჭირს, მოდის ხალხი და მერე, როცა სახლები გვექნება უფრო ამოვა.

— პროექტით როგორი სახლები იქნება?

— პროექტით ორსართულიანი ბინებია გათვალისწინებული — სამ, ოთხ და ხუთოთახიანი. ძალიან კარგი ბინები გვექნება — საძილე ოთახი, სამზარეულო, ცხელი და ცივი წყალი... ერთი სიტყვით, მშვენიერი პროექტია, დასაწუნი არაფერი აქვს.

როგორც მიხეილ ბარბაქაძემ გვიამბო, სოფელში სკოლის მშენებლობა რომ დაუწყიათ, უძველესი სამარხები აღმოჩენილა. სამარხში საინტერესო ნივთები უნახავთ, ოქროს და ვერცხლის სამკაულები, მინის ფიალა, მძივები, ბიზანტიური და რომაული მონეტები. ერთი სამარხის გვერდით კარგად შენახული ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა. მამა-პაპათა გადმოცემით კი, მეწყერი რომ ჩამოწვებოდა, ძვლები გადმოეკიდებოდა თურმე, ძვლებზე კი სამაჯურებს პოულობდნენ.

სოფელს დღეს ვახტანგ გორგასალის დროინდელი ტაძრის ნანგრევი ამშვენებს. სოფლის ზემოთ მეორე ეკლესიაც არის. მოგვიანებით ამ ნანგრევებს რესტავრაცია გაუკეთდება.

ჭერემელები მიამბობენ ძველი სოფლის სილამაზეზე, მის დოვლათზე, აქაურების გულგაშლილობაზე, ხელგაშლილობაზე, იმ ტკივილებზე, წარსულში რომ გადაიტანეს. კალატოზი ნიკო ქევხიშვილი ამბობს: დედა აქ მარხია, მამა იქ — ბარის სოფელში, აქაურობაც მიყვარს და იქაურობაც... აღარ ვიცი, სად წავიდე. მაგრამ მაინც იმედით შესცქერის მომავალს, რადგან გვერდში უდგანან თავისი ძველი მეზობლები — ბარბაქაძეები, ჯაჭვაძეები, აბესაძეები, ორბელაშვილები, გელაშვილები, წიკლაურები...



IV-V საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესია



ახალი გომურების მშენებლობა

სჯერა, რომ მათი გამრჯე ხელი უკეთეს ხიდელს ააშენებს.

მინდა ერთი ჭერემელი კიდევ გაგაცნოთ. ეს გახლავთ შაქრო ბარბაქაძე, ჭერემის ხულახალი დასახლების ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი. შაქრო ძიამ გიორგი ლეონიძის ერთი ლამაზი მოთხრობის გმირი — ჩორეხი გამახსენა — დღენიადაგ თავისი სოფლის სიძველეებს რომ დაეძებდა, აგროვებდა, ფაქიზად უვლიდა, გოგო-ბიჭებს სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა, სულ იმათ დამოძღვრას უნდებოდა.

მშენებლობის დროს ჭერემში რომ სიძველეები აღმოაჩინეს, თბილისისა და სიღნაღის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში გადაიგზავნა შესასწავლად. ზოგი რამ კი მერეც იპოვნეს — შუბის წვერები, მინისა და კერამიკული ჭურჭლის ნამსხვრევები, ფერადი მძივები. ძია შაქროს ეს ყველაფერი საგულდაგულოდ შეუკრებია, თავის სახელდახელოდ აშენებულ ბინაში სტენდზე ადგილიც გამოუნახავს, ზედ ეს ნივთები მიუმაგრებია, წარწერებიც გაუკეთებია და სულ ამ ნივთების მნიშვნელობაზე ესაუბრება ჭერემელ ბავშვებს. ძია შაქროს მინიატურული მუზეუმის უნახავად ჭერემიდან არავის გაუშვებენ.

...ჭერემიდან დაბრუნებულს უსათუოდ იმ ხალხზე ფიქრი გამოგყვება, ვისაც შეუძლია სიავეს და უგუნურებას სიკეთით სავსე გული, სიყვარული შეაგებოს, ახჯერ დანგრეულს მიეპატრონოს, თავიდან ააშენოს, თავიდან მოაჩუქურთმოს, ისევ გუთანს მოჰკიდოს ხელი, ნამგალს და ცელს, სახნავს და საკაფს, ახალი გაზაფხულისთვის, ახალი სიცოცხლისათვის გაისარჯოს.

ლამარა კიკილაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ტარიბანაზე მშვენიერი ვენახებია

ნარკვევი

ივრის პირას არის გაშლილი ტარიბანას ველი.

ტარიბანა...

ამ სიტყვის ეტიმოლოგია თითქმის უცნობია.

ტარბი კალიების დაუძინებელი მტერია, შეიძლება ამ ფრინველთ სიმრავლის გამოც შეერქვა ეს სახელი ამ ადგილს.

ან კიდევ შეიძლება მტრის მიერ სისხლით ნაბან მიწასაც აღნიშნავს, როგორც აქაურები ამბობენ, „მტერმა ბანა-ტარიბანა".

ტარიბანაში საშინლად ცხელოდა იმ დღეს, გადახრუკულ ველ-მინდვრებს ბული ასდიოდა. არსაიდან იძვროდა ნიავი. 2000 ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშლილ გამარჯვების, ჯაფარიძის, ოზაანისა და წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ვენახებს მზრუნველი ხელი ეტყობოდა, მწვანედ ხასხასებდა რქაწითელი...

— საქართველოში უამრავი ყურძნის ჯიშია გამოყვანილი, — მიყვება გამარჯვების კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი მიხეილ ფიროსმანიშვილი. — ყველაზე ჯიშმრავალი კუთხე კახეთია, სადაც დღეისათვის 70-მდე ყურძნის სახეობა დაითვლება; ტარიბანაში 649 ჰექტარზეა გაშლილი ჩვენი კოლმეურნეობის ზვრები, — ძირითადად რქაწითელი, ათიოდე ჰექტარზე კი საფერავის მსგავსი კაბერნე...

რქაწითელი [მსოფლიოს თეთრყურძნიანი [ვაზების რჩეულს ამშვენებს, საფერავი კი წითელყურძნიან ჯიშებს ეცილება პირველობას...

მოწითალო-მოწაბლისფრო რქები მზისკენ მიეშვირა, მწვანე და მრგვალი, ნაკლებად შეჭრილ-შემოჭრილი ფოთლებით ამაყად იდგა ჭიგოზე პწკალ-მკლავშემოხვეული, მოგრძო, ჯერ კიდევ შემოუსვლელი მტევნებით გარინდულიყო რქაწითელი ტარიბანას ველზე...

რქაწითელი მრავალი ღირსებით დაუჯილდოებია ბუნებას. ნაირგვარ ჰავასა და ნიადაგს შეჰგუებია. კახეთში თითქმის ყველგან ჩინებულ ღვინოს იძლევა, ხილადაც საუცხოოა, უხვმოსავლიანია და იშვიათი გამძლეობითაც გამოირჩევა. ყინვიან ზამთარსაც ადვილად იტანს და ზაფხულის გვალვასაც...

ცის სილურჯე გადახდებოდათ თითქოს ტარიბანაში გაშლილ ზვრებს.

გამარჯვებისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობების ვენახებს შორის თავისებურ საზღვარს ქმნიდა სიცხისაგან მოთენთილი საუარაულო კოშკი.

ივრიდან ძალით მოტაცებული წყალი არწყულებდა რქაწითელის ფესვთ. დამკრახული მოგრძო მტევნებით დახუნძლულიყვნენ ვაზნი.

— რამდენი ტონა უნდა ჩააბაროთ წლეულს?... — ვეკითხები მიხეილს.

— გეგმით 34000 ტონა გვაქვს გათვალისწინებული, მაგრამ კარგი პირი უჩანს მოსავალს და ალბათ 40000 ტონასაც მოვიწევთ...

გამარჯვების კოლმეურნეობის ზვრებში მევენახეობის შვიდი ბრიგადა მუშაობს.

ზვარში მოულოდნელად მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელი ბიძინა კაკალაშვილი შემოგვხვდა და მოწინავე მევენახე ქალთან შეხვედრა ვთხოვეთ.

დიდხანს დავობდნენ ახალგაზრდა აგრონომი იოსებ ფიროსმანიშვილი და მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ბიძინა კაკალაშვილი, იმაზე, თუ ვინ იყო ყველაზე მოწინავე ქალი მათ ბრიგადაში,

უჩვეულო სიმეტრიით განლაგებულ ვაზებს მზრუნველი ხელი დაჰპატრონებოდა. შორი შორს ფერად თავსაფრებსა და ქუდებს ვლანდავდი, უფრო შორიდან ივრის პირას აღმართული გაძარცული გორაკნი, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს კი — გატრუსული მზესუმზირის ყანები მოჩანდა და უნებლიედ ვფიქრობდი: — „აი ახლა, რომელიმე ვაზის ძირას, ჩემგან არც თუ ისე შორს, ერთი ჩვეულებრივი, უბრალო ქიზიყელი ქალი მკლავებდაკაპიწებული ჩაფრენია თოხის ტარს და გზას უკაფავს ივრის მღვრიე წყალს ვაზთა რიგებს შორის, სახე შრომით დაღარვია, შავი სამოსი აცვია ტანთ და მოლოდინით სავსე აქვს თვალნი...

ყველაფერი კი ასე აეწყო.

ამ ნარკვევის გმირი ვაზების რიგებიდან ძლივს გამოიყვანა ბრიგადირმა.

მოდიოდა და მოქოთქოთებდა, — „წამილეკავს ვაზებს ივრის წყალი... არ მცალიაო"... უკან აპირებდა გაქცევას. მეღიმებოდა მის ქცევაზე. ოთარაანთ ქვრივს მაგონებდა.

ქიზიყელი კი არა, ხევსური გამოდგა წარმოშობით, მეექვსე ბრიგადის მევენახე, შატილში დაბადებული და გაზრდილი.

— ქიზიყისაკენ როგორ მოხვდი, ხევსურის ქალო? — ღიმილით ვეკითხები.

დაიმორცხვა რატომღაც, ძლივს მითხრა სათქმელი.

თვალი სულ არხისა და ვაზებისაკენ ექირა, გაქცევას ლამობდა კიდეც. ბრიგადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ წევრს დროებით გადააბარეს მისი საქმე, მაშინღა ამოისუნთქა მხოლოდ.

სახელდახელოდ ნამჯით გადახურული ტალავრის ქვეშ ვისხედით, გარკვეულ ხანს ძალიან უჭირდა საუბარი, მერე როგორც იქნა შატილი გაიხსენა, შრომაში გატარებული ბავშვობის 15 წელი, უამრავი და-ძმა.

უთენია საქონლის მინდორში გასარეკად ადგომა, ყანაში მუშაობა, ნამგლით ყანის მკა და ძნებად შეკვრა, მერე კალოზე ძნების დაშლა და ხარებით გალეწილი თავთავი, მათი მოგროვება და განიავება... ხან და ხან ფერადოვან კორდოვანზე საქსოვითა და საქარგავით თავის გართობა. საღამო ჟამს თანატოლების შეკრება, ფანდურის ხმა, სიმღერები, მოხუცების ნაამბობი ზღაპრები და ყველაფერი ეს, როგორც სიზმარი, შატილის ციხე-კოშკოვან სახლებში დარჩა რამდენიმე ათეული წლის წინათ.

მას მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა, რას იფიქრებდა, უბრალოდ ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა ვაზს თუ შეიყვარებდა და უიმისოდ ყოფნას ვერ აიტანდა. რას იფიქრებდა, ქიზიყში თუ მოხვდებოდა ხევსური ქალი...

გარკვეული მიზეზის გამო ოჯახმა მთიდან ბარში დაიდო ბინა. თბილისის მახლობლად გამარჯვებაში დასახლდნენ. სამი წელი ცხოვრობდნენ იქ და ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, კოლმეურნეობის მინდვრებში იღვწოდა, ხან მარცვლეულის ნათესებს უვლიდა, ხან ბოსტნეულს.

მერე წითელწყაროს რაიონში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ვერც იქ მოისვენა, ჯერ მემინდვრეობაში მუშაობდა, მერე მეფრინველეობაში მოხვდა, მაგრამ თავისკენ ეძახოდა ვაზი. საითაც გაიხედავდა, ყველგან ზვარს ხედავდა, თავისკენ იზიდავდა საოცარი მცენარე.

პირველად როგორ ეშინოდა, ეგონა ვერ ისწავლიდა მის მოვლას და შერცხვებოდა. მას მერე კი ორ ათულ წელზე მეტი გავიდა. მევენახე ქალი მშვენივრად იცნობს ახლა ვაზის ბუნებასა და ხასიათს.

იცის, რომ სამწლიანი ვენახი საწვენია უკვე, თითო-ოროლა მტევანს თუ გამოიღებს. 5-6 წლის ვენახს კი დავაჟკაცებული, მუშა ვენახი ჰქვია.

თავისუფლად შეუძლია ვაზის გასხვლა-შეყელვა, გაფურჩქვნა-ახვევა, შესარვა-დაკავება, გადაწვენა-გადამუხვლა, ბარვა და თოხნა, მორწყვა... ამ სამუშაოთა შორის იცის, რომ ყველაზე უმთავრესი ვაზის გასხვლაა.

საოცრად ეცოდება გასხლული ვაზები. რქებდაჭრილი, ფოთოლშემოძარცული, ატირებულ კვირტებიანი... მზრუნველი ხელით უცებ დააკავებს და შეუყელავს ვაზებს. ამოკალთავებულ წინსაფარში ზომაზე დაჭრილ, წყალში დამბალ საყელავებს რიგრიგობით იღებს და ამით ჭიგოზე ამაგრებს ვაზს. შემდეგ გრძლად დაყენებულ სანაყოფე რქას ძირში დააკავებს, რქას ფრთხილად მოხრის, რქის ძირში წავლებულ მარჯვენა ხელს ზემოდან რქაზე ჩამოაცურებს, თანდათან ხელში გამოატარებს რქის კვირტებსა და მუხლებს, თანაც მარცხენა მუხლით ვაზს აწვება, ამგვარად მოდრეკილ სანაყოფეს წვერით იქვე დააკავებს, სადაც მანამდე მისი ყელი მიება. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რათა კვირტების თანაბრად ზრდა უზრუნველყოს. ამგვარად ხელფეხშეკრულ ვაზს არც ქარი აწუხებს მომეტებით და არც მიწაზე გაირთხმევა.

ყველაზე ძალიან გაზაფხულზე უყვარს ვენახში ყოფნა მაიას. გაზაფხულზე სანაყოფე რქებზე კვირტნი რომ დაიძვრებიან, მერე პატარა ყლორტიც ამოხეთქავს, რამდენიმე დღეში კი ვენახი ერთთავად დაიყლორტება. ყლორტებს წვერში საყურძნე და საფოთლე დააჩნდება, თანდათან გათამამდება, კანი გაუმაგრდება, ფოთოლი დაუმსხვილდება, ულვაშით ჭიგოს მოეჭიდება... სანაყოფე ყლორტებზე თავიდანვე შეატყობს ყურძნიანობას ნორჩ მტევანს, მერე აყვავდება ვაზი, საოცარი სურნელით აივსება ვენახი.

მაია გიგაური 4 ჰექტარზე გაშენებულ ვენახს დასტრიალებს თავს. აქედან ორ ჰექტარზე გაშენებული მსხმოიარეა, ორზეც — ახალშენი. შარშან 4 ჰექტარს ამუშავებდა მაია, 39 ტონა მოკრიფა, წლეულს უფრო მეტი მიიღო. გამრჯე შრომით გააოცა ყველა, ამიტომაც იყო, რომ შარშან შემოდგომაზე მედლით დააჯილდოვეს შრომითი მამაცობისათვის.

მაია ბედნიერი დედაა. ხუთი შვილი ჰყავს, კარგი ოჯახი... უფროსი ქალიშვილი ახმაოი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია. დაუზარელი ქალიშვილი ჰყავს მაიას, სტუდენტურ არდადეგებზე დედის გვერდით არის ტარიბანის ზვრებში. ვენახს დასტრიალებს თავს მაიას მეორე ქალიშვილიც, მარინამ წლეულს დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ. დანარჩენები სკოლაში სწავლობენ და საოჯახო საქმიანობაში ეხმარებიან დედას. მაიას მეუღლეც კოლმეურნეობაში მუშაობს, გამრჯე მექანიზატორია...

დაშაშრული ხელები აქვს მაიას. ვერ ისვენებს, მწკრივად ჩარიგებულ ვაზებს ეფერება, ელოლიავება, მზემოკიდებული თითებით ზედმეტ ფოთლებს აცლის რქაწითელს. — ახლა რა გიჭირსო, ბედნიერი ხარ შენც და მეც. ივრის წყალი გირწყულებს ფესვებს, შენი სიხარული კი მე მახარებსო...

...ადრე სად იყო წყალსაცავი ყუშისხევს, ახლა კი...

უკანასკნელ წლებში ყუშისხევისა და ვაკეთელაწყალის ტერიტორიებზე ორი წყალსაცავი აშენდა. მოქმედებს აგრეთვე წყალსაქაჩი აგრეგატებიც.

როგორც წინა წლებში, ახლაც შექმნილია გვალვასთან მებრძოლი რაიონული შტაბი, ხოლო ადგილებზე — ჯგუფები. ყველა კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია მრწყველთა ბრიგადები ან რგოლები.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველ წვეთ წყალს აქ რაციონალურად იყენებენ, რათა გაზარდონ მოსავლიანობა, წლევანდელი უჩვეულო პაპანაქებისაგან იხსნან მოწყურებული ბაღები და ვენახები, სხვადასხვა ნათესები...

სამი წელია, რაც ივრიდან ამოქაჩული წყალი გროვდება ყუშისხევს. სამი წელია, რაც ამოისუნთქა რქაწითელმა და მოსავალიც უზომო მოვიდა. ადრე ბუნებრივად აგროვებდნენ წყალს ყუშისხევს, ან კიდევ ცის ნამს სჯერდებოდნენ სიცხისაგან ფოთოლშეტრუსული ვაზები...

შრომისაგან დაღარული და მზემოკიდებული შუბლი აქვს მაიას. მოუსვენრად გასცქერის ცისფერი თვალები ვაზებს, ვერ ისვენებენ ნაჯაფარი ხელები, თოხს ინსტინქტურად ძებნიან და წყალმოშიებულ ვაზთა რიგებს უმასპინძლდებიან.

მოედინება ივრის მღვრიე წყალი ვაზთა მწკრივს შორის, სველი მტვრის სუნით ივსება ჰაერი და ჟივდება მრავალსატანჯველ გადამხდარი მიწა... სველია მიწა... ხელებს იშველიებს მაია, ხელითაც უკაფავს წყალს გზას. სველი მიწა ეკვრება ხელთ... მიწა ნაომარი, ტარიბანის ძველისძველი მიწა, ივრის ცრემლით ატალახებული...

და მახსენდება ბრინჯაოს უძველესი სასხლავი, საქართველოს ისტორიის დიდი კომაგის, წითელწყაროში მცხოვრები პენსიონერი მასწავლებლის იოსებ ჰენთეშაშვილის სახლში სხვა უძველეს ნივთებთან ერთად ნანახი. ის ბრინჯაოს სასხლავი ტარიბანაშია ნაპოვნი და სწორედ იმ ხნისაა, რამდენისაც ამ ოციოდე წლის წინათ შუა კახეთში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი სამი ათასი წლით დათარიღებული სასხლავი ვაზისა...

და მიდის ივრის წყალი, ტარიბანის ძველთაძველ დედამიწაში ფესვჩაგრეხილ ვაზებს არწყულებს...

— გამიგონია, „მოურწყავის ღვინო უფრო ღონიერიც არის და გამძლეც", „პური და ღვინო გვალვისააო", — ჩამესმის ბრიგადირის ხმა. —სამაგიეროდ მორწყვის მერე ნახე მოსავალი... — ეს უკვე ფიროსმანიშვილია, აგრონომი.

— ზომიერი მორწყვაა საჭირო, ზომიერი... მოსავალიც მაშინ არის საიმედო...

— რა თქმა უნდა, ზომიერებაა საჭირო, მოჭარბებული წყალი არ უხდება ვაზს...

მაიასაც ამიტომ უჭირავს თვალი. უჩვეულოდ ფხიზლობს, დროულად წყვეტს წყალს, თუ საჭიროა.

ნელა მივუყვებით საურმე გზას, ვემშვიდობებით მაია გიგაურსა და მისი ბრიგადის წევრებს, საურმე გზიდან შორს მეორე, მეოთხე და მეხუთე ბრიგადების წევრებს ვამჩნევ, მათ მიერ სათუთად მოვლილ ვაზთა რიგებს...

— აი თურმე რატომ გაიმარჯვა ვენახების უკანასკნელ დათვალიერებაზე თქვენმა ვენახებმა. — ვეუბნები კოლმეურნეობის აგრონომს.

— ჩვენს სოფელს გამარჯვება ჰქვია და გავიმარჯვებდით, აბა რა იქნებოდა!.. — ხუმრობს მიხეილი...

ნინო კიკილაშვილი

## მომავლის პერსპექტივები

# ჩარხმშენებლობა

გადაწყდა დიდი საშვილიშვილო საქმე: მარნეულის მიწაზე, საქართველოს უძველეს და გმირულ მიწაზე აშენდება ჩარხმშენებელი გიგანტი. მშენებლობა 1982 წელს დაიწყება. მხოლოდ კომპლექსური მიდგომით, რესპუბლიკის შემოქმედებითი პოტენციალის ყოველმხრივი გამოყენებით მივაღწევთ საქართველოს ჩარხმშენებლობის მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე განვითარებას.

მარნეულის ქარხანა გიგანტური სამშენებლო მოედანი იქნება, როგორიც საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. ასათვისებელია 700 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება.

მარნეულის ქარხანა უნიკალური წარმოება იქნება, რომლის ბადალს ვერც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში ნახავთ და ვერც განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

მარნეულის ქარხანა ახალ ქალაქს წარმოშობს. საწარმოში სულ ცოტა 17 ათასამდე კაცი იმუშავებს. ახალი ქარხანა, მისი საცხოვრებელი მიკრორაიონი სილამაზით გაახარებს თვალს, მათი იერსახე შეესაბამება არქიტექტურის უკანასკნელ მიღწევებს.

ქარხანა მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში აშენდება, იგი პროდუქციის გამოშვებას 1985 წელს დაიწყებს. ეს სიმძლავრეთა ნაწილობრივი ამოქმედება იქნება. ქარხნის პროდუქციამ კონკურენცია უნდა გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე 90-იანი წლების ანალოგიური პროდუქციის საუკეთესო ნიმუშებს. მრავალოპერაციულ აგრეგატებსა და მოწყობილობის კომპლექსებს, რომლებიც აქ გამოვა, იქნება გამომთვლელი ელექტრონული მანქანებით უზრუნველყოფილი ყველა სამუშაო და დამხმარე ოპერაციის მართვის სისტემები.

ასეთი ქარხანა-გიგანტის აშენება მხოლოდ დიად სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია, რომელსაც მეურნეობის გეგმიანი სისტემა აქვს.

# დედაქალაქი და სამგზავრო ტრანსპორტი

„საქართველოს ქალის" კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს
**თეიმურაზ დავითაშვილი.**

## პრობლემა

●

კორესპონდენტი: საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, ჩვენი დედაქალაქის სატრანსპორტო გაერთიანებასთან ერთად, გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს თბილისის მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ჩვენი აზრით, ეს მუშაობა უფრო გააქტიურდა თბილისის 37-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ, და ზოგი რამ, რაც იქ ითქვა, გამოსწორდა კიდეც. მაგრამ, თუმცა ავტოპარკი ყოველწლიურად იზრდება, მატულობს ყველა სახის ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მომსახურება მაინც ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას. რატომ, რა არის მიზეზი?

მინისტრი: პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ავტოტრანსპორტის მუშაობაში არის ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მომსახურების საერთო დონეზე. არა იშვიათია, მაგალითად, შემთხვევები, როცა ხაზზე არ გამოდის დაგეგმილი რაოდენობის ავტობუსები, ანდა ტექნიკური გაუმართაობის გამო ხაზიდან იხსნება და გარაჟში ბრუნდება მოძრავი შემადგენლობა. თუნდაც ავიღოთ ტრანსპორტის სალონების კეთილმოწყობის საკითხი. თითქოს წვრილმანია, მაგრამ მგზავრი ამას დიდ ყურადღებას აქცევს, უმალ უარყოფითად რეაგირებს, როცა სალონებში საკმაო რაოდენობით არ არის დაყენებული სალაროები, ანდა რომელიმე გაუმართავია და სხვ.

მოსახლეობა კვლავ დიდ საყვედურს გამოთქვამს ტაქსების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამოც. უკანასკნელ ხანს ვცდილობთ ღრმად ჩავწვდეთ ამის მიზეზებს, თანდათანობით თავიდან ავიცილოთ ანგარიშში მგზავრთა მოტყუების, მომსახურებაზე უარის თქმის, უხეშობის და სხვა შემთხვევები. ამ მხრივ, როგორც ჩვენი სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, უკანასკნელ წლებში პროგრესი უთუოდ იგრძნობა.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ არის ისეთი საკითხები, რომლებიც კომპლექსურად უნდა გადაიჭრას — ცალმხრივად, ვთქვათ, მარტო დისციპლინის ან პასუხისმგებლობის ამაღლებით არ გადაიჭრება. ეს საკითხები კი არა, უკვე დიდი პრობლემებია და პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქალაქის ინტენსიურად მზარდი ახალი მიკრორაიონების თუ ძველი რაიონების დაგეგმარებასთან, ქუჩების გამტარიანობასთან, მოძრაობის სწორი ორგანიზაციის შემუშავებასა და სატრანსპორტო პროცესში მონაწილე სხვა ფაქტორებთან.

ავიღოთ ერთი ფაქტი-პრობლემა და მას ყოველი კუთხით შევეხოთ: ყველამ კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის, რომ დედაქალაქში სამგზავრო ავტოტრანსპორტი განსაკუთრებით „პიკის“ საათებშია ძლიერ დატვირთული და მომსახურებაც სწორედ ამ დროს არის უარესი. ამასთან მას თან ახლავს მეორე უარყოფითი მომენტიც: „პიკის“ საათებში, ყველაზე მაღალია მოძრავი შემადგენლობის ზენორმატიული ცვეთა. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ქალაქის საგზაო ქსელის დიდი ნაწილი მოუწყობელია.

ამ უარყოფითი ფაქტორების ერთობლიობა საბოლოო ანგარიშში ვადაზე ადრე „აბერებს“ ჩვენს მოძრავ შემადგენლობას და იძულებულს გვხდის იგი ჩამოვწეროთ. ჩამოწერილის ახლით შევსება კი, მოგეხსენებათ ადვილი საქმე არ არის. დიდ დროს მოითხოვს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ხაზებზე მანქანები არ გვყოფნის, ანდა იძულებული ვართ ძველი, ხახელდახელოდ შეკეთებული ავტობუსები გავუშვათ...

რით შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა მომავალში? სატრანსპორტო პარკის გაზრდით? ვერა, რადგან არცთუ ნაკლები ინტენსიურობით იზრდება მგზავრთა ნაკადები. რჩება ერთი გზა. მარშრუტების გამტარუნარიანობის გადიდების ფართო ხასიათის ღონისძიებები. მხედველობაში გვაქვს ქუჩების რეკონსტრუქცია, მათი საფარის გაუმჯობესება, ერთი სიტყვით, გზების მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა საერთოდ, რომ „პიკის“ საათებში ტრანსპორტს მოძრაობის სიჩქარის მაქსიმალურად გაზრდის საშუალება მიეცეს. ეს დიდმნიშვნელოვანი მომენტია თანამედროვე დიდ ქალაქებში სატრანსპორტო მომსახურების სრულყოფისათვის. ამასთან, ჩვენს ქალაქში უნდა მოგვარდეს საწარმოო-დაწესებულებებში მუშაობის დაწყება-დამთავრების დროს ე. წ. საფეხურიან გრაფიკზე გადასვლა, რაც თანაბრად გაანაწილებდა მგზავრთა ნაკადებს.

რაც შეეხება განრიგების დარღვევებს, ჩვენს მგზავრებს უნდა მოვახსენოთ, რომ ამჟამად კომპლექსურ ღონისძიებებს ვახორციელებთ იმისათვის, რომ მკვეთრად შევამციროთ ისინი. გათვალისწინებულია ცვლილებანი გრაფიკებში, ვფიქრობთ გარკვეულად შევამციროთ მოძრაობის ინტერვალები; ცალკეულ მარშრუტებზე დაემატება მოძრავი შემადგენლობა, ხოლო „პიკის“ საათებში მაქსიმალურად გაიზრდება ავტობუსების რაოდენობა.

კორესპონდენტი: თქვენ მგზავრთა ნაკადების განაწილების პრობლემა ახსენეთ. საინტერესოა, როგორ იყენებთ მუშაობაში იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ამ ბოლო ხანს მგზავრთა ნაკადების ინტენსიური შესწავლის შედეგად დაგიგროვდათ?

მინისტრი: საქალაქო მარშრუტებზე მგზავრთა ნაკადების შესწავლის მიზანი, მოგეხსენებათ, ის არის, რომ საერთოდ გავაუმჯობესოთ მგზავრთა მომსახურება, კერძოდ კი იგი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოძრავი შემადგენლობის რა რაოდენობაა საჭირო ამა თუ იმ მარშრუტზე. რომ მთლიანად ავითვისოთ იქ გამავალი მგზავრთა ნაკადი, ასეთი გამოკვლევა გეგმების კორექტირებაშიც გვეხმარება.

მგზავრთა ნაკადების შესწავლა ხდება როგორც ცალკეულ უბნებზე, ისე კომპლექსურად. მაგალითად, წლეულს, იანვარში, შევისწავლეთ გლდანის ახალი მიკრორაიონის მიმართულება და ის ცვლილებები, რომლებიც მგზავრებმა შენიშნეს, წლეულსვე თებერვალში მოეწყო თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სხვა მარშრუტებზე მგზავრთა ნაკადების კომპლექსური შესწავლა. შედეგები უკვე დამუშავებულია და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მარშრუტების მოძრაობის ახალ გრაფიკებზე გადასვლისთანავე ახალ რეკომენდაციებში გამოვიყენებთ.

მგზავრთა ნაკადების შესწავლის შედეგად დადასტურდა, მაგალითად, ახალი მარშრუტების დანიშვნის აუცილებლობა იყალთოს, გორის დასახლების, ნუცუბიძის პლატოს მიმართულებით. გამოთავისუფლდა ავტობუსების მნიშვნელოვანი რაოდენობა, როცა დამოკლდა № 32 და № 88 მარშრუტები იმის გამო, რომ ვაკიდან რკინიგზის სადგურის გავლით საბურთალოზე და პირიქით, პირდაპირ მიმავალი მგზავრების ნაკადი მეტად მცირე იყო. ასევე გამოკვლევის რეკომენდაციებზე დაყრდნობით დაინიშნა № 6 ნახევრად-ექსპრესული მარშრუტი და გაგრძელდა № 67 და № 53 მარშრუტები ვაკე-საბურთალოდან დიღომის მიმართულებით. ეს მარშრუტები ახალ ხიდზე გადის.

მგზავრთა ნაკადების შესწავლას ინტენსიურად განვაგრძობთ, იგი ერთიანი სატრანსპორტო პროცესის აუცილებელი კომპონენტია.

კორესპონდენტი: უკონდუქტორო მომსახურებამ საბოლოოდ დაამტკიცა თავისი უპირატესობა, თუ...

მინისტრი: მისი უპირატესობა ნათელია. მაგრამ თბილისის საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების გადახდის საკითხი ჯერჯერობით მთლიანად მაინც არ არის მოგვარებული, რასაც შედეგად მოსდევს ხონაგები თანხის დანაკარგები და ბევრი სხვა არასასურველი რამ... მგზავრთა გაბილეთიანების სისტემა რომ სრულვყოთ, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში შეიქმნა სპეციალური კომერციული სამსახური, რომელიც აწარმოებს ერთჯერადი ხმარების სამგზავრო ტალონების და ერთთვიანი ბილეთების მასობრივ რეალიზაციას. ვფიქრობთ, ეს საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გაიზარდოს ამ გზით მიღებული შემოსავლის წილი საქალაქო ტრანსპორტის საერთო შემოსავალში, ამით კი შემდეგ შევძლებთ გადავიდეთ ერთიან სატალონო სისტემაზე.

კორესპონდენტი: გვაინტერესებს, როგორია საზოგადოებრივი საქალაქო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები?

მინისტრი: საერთოდ, ისე, როგორც სხვა დიდ ქალაქებში, თბილისშიც სამგზავრო ტრანსპორტის წინსვლის მთავარი პრინციპი მასობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაა როგორც რაოდენობრივი, ისე მისი მოდერნიზაციის გზით.

დღესდღეობით ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობის განუხრელი ზრდა და ახალი მიკრორაიონების მშენებლობა გადაუდებელ ამოცანებს აყენებს ავტომეურნეობების წინაშე. მათ მაქსიმალურად უნდა გაზარდონ მასობრივი ტრანსპორტის უნარიანობა და შეძლებისდაგვარად — მოძრაობის სიჩქარეები. ამიტომ ექსპრესული და ნახევრადექსპრესული მარშრუტის ჩქაროსნული სახეობების განვითარება აუცილებელი იქნება. განახლდება მოძრავი შემადგენლობის პარკი. უპირატესობა მიენიჭება დიდი და განსაკუთრებით დიდი ტევადობის საქალაქო ავტობუსებს.

მაგრამ, აქვე უნდა ვთქვათ, რომ მოძრავი შემადგენლობის განახლება საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. დღევანდელ პირობებში, როცა ახალ საცხოვრებელ მასივებში მოხდა ქალაქის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობის დიდი მიგრაცია და მგზავრთა უზარმაზარი ნაკადები დაშორდა წარმოება-დაწესებულებებს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული სამარშრუტო ქსელის სრულყოფას, რომ ეს ახალი რაიონები ქალაქის ცენტრს შეუფერხებლად უკავშირდებოდნენ. მიგვაჩნია, რომ ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ გადაწყდება გლდანის, ვაზისუბნის, ლილოს და სხვა მიკრორაიონების სატრანსპორტო მომსახურების საკითხი, თუმცა პერსპექტივით ამ მიმართულებებზე იმატებს მოძრავი შემადგენლობაც. შეიქმნება ახალი მარშრუტებიც და გაიხსნება ახალი ავტომეურნეობებიც. აქ მთავარი პრობლემა ის არის, რომ უპირველეს ყოვლისა, ვიზრუნოთ ქუჩებისა და გზების ქსელის კეთილმოწყობაზე, სრულვყოთ სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ორგანიზაცია.

სატრანსპორტო პრობლემები სოციალური ხასიათის არის. ისინი წარმოიშობა ქალაქმშენებლობის, ტექნიკის, ეკონომიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის და სხვა დარგების ერთობლიობაში. ამიტომ, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის გაანგარიშებაში სულ უფრო ფართოდ შემოიჭრება გამოთვლითი ტექნიკა, კიბერნეტიკა, სტატისტიკა, ხაზოვანი და დინამიკური პროგრამირება, მათემატიკის უახლესი დარგები. და ჩვენ მოვალე ვართ არ ჩამოვრჩეთ დროის ამ მოთხოვნას.

საუბარი ჩაიწერა ნ. ლომთაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სცენის მშვენება

მინდა მოგითხროთ შეხვედრებზე, ოღონდ არა პირად შეხვედრებზე. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა: არ მქონია ბედნიერება მასთან საუბრისა, მასთან ხლებისა. და მაინც... ჩემს თაობასთან ერთად განუწყვეტლივ ვიმყოფებოდი მასთან, ვუსმენდი, ვუმზერდი, ვმაღლდებოდი მისი ხელოვნებით, მისი სიცილით ვიცინოდი, მისი ცრემლებით ვტიროდი... „საქართველოს მზით სახედამწვარო, ანჯაფარიძის ზვიადო ქალო“-ო, სწორედ იმხანად ამბობდა თავის პირველ წიგნში ლადო ასათიანი და ეს ზვიადი ქალი ჩემი თაობის კერპად იქცა, სამამულო ომის წლებში წამოჩიტებული თაობის კერპად... ჩვენ ბოტებით, პალტოებით ვსხდებოდით ქანდარაზე, და ჩავყურებდით სცენის სიღრმეს, სადაც ფერწასული ვერიკო-მარგარიტა კვდებოდა სიყვარულის მიერ განწმენდილი. „ო, არმან!“... კვნესოდა იგი და ჩვენც ვიმეორებდით ამ „ო, არმანს“. ვტიროდით და არ გვერცხვინებოდა იმ ცრემლებისა. ნამდვილი, დიდი სიყვარულის მოსვლამდე, ჩვენ ვერიკო-მარგარიტამ გვასწავლა სიყვარული, მისი სახელით მსხვერპლის გაღება, მისით სიკვდილი. სწორედ იმ ხანად ვკითხულობდით შესანიშნავ წიგნს: „პარადოქსები აქტიორზე“, და ცხარედ ვკამათობდით: ვერიკო ანჯაფარიძე როლს მართლა განიცდის თუ თამაშობსო, თუმცა საკამათო რა იყო, — ყველა ერთხმად ვაღიარებდით — განიცდის და ძალიანაც განიცდისო. საერთოდ, ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებისა და სცენური სახეების მისეულ გახსნაში დიდად დაგვეხმარა აკაკი გაწერელიას მშვენიერი წიგნი „წიგნები და ავტორები“, სადაც პატივცემული აკაკი შთაგონებით წერდა ვერიკო ანჯაფარიძეზე, განსაკუთრებით მის ივდითზე.

ივდითი!

რა თქმა უნდა, უშანგი ჩხეიძის ურიელს ვერ მოვესწარით (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“). მაგრამ ვერიკო-ივდითს შესანიშნავ პარტნიორობას უწევდა პიერ კობახიძე: სცენა ბაღში, სცენა კიბეზე. რარიგ მენანებიან, ვისაც საკუთარი თვალით არ უნახავს ეს სცენები, ვინც ვერ მოუსწრო მათს დიალოგებს, ვერ მოისმინა ვერიკოს გულიდან ამოვარდნილი „ურიელ!“, ვინც შერისხული ურიელისაკენ მისი მთრთოლვარედ გაწვდილი ხელი ვერ დაინახა. ეს

იყო ტრაგიზმი, ამასთან ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი ტრაგიზმი. და ეს ყოველი ვლინდებოდა ვერიკოს ჩამოკვეთილ პროფილში, სამოსელში, კიბიდან ძუნწად ჩამომავალ ნაბიჯში. ივდითის კვალდაკვალ დასდევდა შუქის სვეტი და ჩვენ გვეგონა: ეს იყო შუქი, თვით ივდითისაგან მომდინარე. იგი ფითრდებოდა ბუნებრივად, ბუნებრივად მიდიოდა გულისწასვლამდე, იკავებდა თავს და აკავებდა შინაგანად ატეხილ ქარიშხლებს.

ივდითი — სატრფო, ივდითი — მონაფე, ივდითი — მორჩილი, ივდითი — აჯანყებული. და ეს ყველაფერი, ერთად აღებული, იყო ვერიკო ანჯაფარიძე, „ზვიადი ქალი“, საკუთარი ღირსებით სავსე, ხელოვნების წინაშე თავის მოდრეკას რომ გვასწავლიდა.

როგორ კითხულობდა იმ წლებში რაბინდრანათ თაგორის ლექსებს! ლექსებს კი არა საგალობლებს!

რარიგ წარმოსთქვამდა ნესტანის წერილს! მარადიულ წერილს!..

მახსოვს, კინოფილმ „გიორგი სააკაძის“ ნახვის შემდეგ ლექსი მივუძღვენი ვერიკო ანჯაფარიძის რუსუდანს.

„რუსუდანის სახე მხიბლავს,
მისი ღიმი, მისი დარდი.
და მეც ვტირი ქართვლის იღბალს,
როცა ქარი გირხევს მანდილს“...

მის სახლამდე მივედი კიდეც, სუმბათაშვილის ქუჩაზე (მაშინ ნიკოლაძის ჩიხი ერქვა). შევხედე გოდოლივით ჩაკეტილ სახლს და უკან გამოვბრუნდი, ბავშვი ვიყავი და ვერ შევბედე ლექსის მირთმევა, მას, — ქართველ პოეტთაგან განებივრებულს, მწერალთა მეგობარს... შემდეგ წლებში კი ხშირად მინახავს მწერალთა კავშირის პლენუმებსა თუ ყრილობებზე, ნატო ვაჩნაძესთან და თამარ ციციშვილთან ერთად მოსული...

დღესაც თვალნათლივ ვხედავ ვერიკო ანჯაფარიძის ანას (ლ. გოთუა — „მეფე ერეკლე“), „სევდის ბაღის“ დიდებულ სცენას, სერგო ზაქარიაძესთან (ზესიკი) ერთად ამაღლებულ, პოეტურ სცენას!...

ვერიკო ანჯაფარიძე 80 წლისა შესრულდა. ეს დიდი თარიღია ყველასათვის, ვისაც უყვარს ხელოვნება, ვინც ეთაყვანება ხელოვნების მადლით კურთხეულთ, მისით გამონათებულ გენიებს. ვერიკო ანჯაფარიძე ხომ ქართული სცენის გენიაა: რომელი ერი არ იამაყებდა მისით, რომელი თეატრი, რომელი ხალხი? და ჩვენ ხელოვნების მუზას უნდა მოვახსენოთ მადლობა, რომ დიდი ვერიკო ჩვენში დაიბადა, ჩვენთან ცხოვრობს, ჩვენთვის დაიხარჯა და დღესაც იხარჯება დიდებულ სპექტაკლებში: „ხეები ზეზეურად კვდებიან“ და „შთამომავლობა“. ამ სპექტაკლების „ბებიების“ შესახებ ბევრი რამ ითქვა და კიდევ ითქმება, რადგან დღეგრძელია და მზეგრძელი დიდი ვერიკო ანჯაფარიძე!

ნაზი კილასონია

# ახალი ლექსები

## ელენე დიდიმამიშვილი

### გული — იმედივით ტკბილი...

გული მდუღარეა მზისებრ.
გონება — ცივი... მშვიდი...
შენ დიდი ხანია ისმენ
გულის და გონების ჭიდილს...
გული დაიღვენთა ცრემლად.
უზადო ტრფობის დარდით.
და მაინც
არ ამბობს წყევლას,
დიდი აქვს მადლი...
იგი მოიღალა, დაცხრა,
თუმც არ სურს ჩაქრეს...
გონება
ნათლად.
მკაცრად
განსჯის და ადებს სასჯელს:
ხვედრს სისხლის ცრემლებით ხვდები
იგივ უძნელესი გზებით,
სად არის ყოფა ნების,
შენი უმტკიცესი ნების!..
გულში იდუმალი თრთოლვა,
იმ უცხო სიმღერად ისმის...
იმ მაღალ განცდათა ლტოლვა,
სიცილი მისი...
ჰოი, უმაღლესი რისხვით
გიტევს გონების ხმალი;
იმან დაგიბედა ნისლი,
სუსხი, წვიმა და ქარი...
ო, არა!... — ჩურჩულებს კვნესით,
ძირს დანარცხებული გული: —
იქნება იმ წრფელი ლექსით
შეიცნოს თქმული...
...და ასე ისმენ კამათს,
გულის და განსჯის ჭიდილს...
ორი უძლეველი ძალა...
ორი შერკინება დიდი...
გული — იმედივით ტკბილი...
განსჯა — ნათელი და ცივი...

* * *

შენ ახლა ისე მაღალი ხარ,
ისე ძლიერი,
რომ სუნთქვა შენი
გასცდა ავდარს.
ზეცას ნისლიანს...
რომ ქვევით დაგრჩა
ცის აღსავალ-დასალიერი,
აქ ყველა სხივი
უწრფელესი მადლის ღირსია.
როდესაც შენს კერპს
სული წრფელი
მიუძღვენ რიდით,
და როს შეახე
უწმინდესი სიმართლის ხელი, —
დაიმსხვრა იგი...
ვით პირამიდა
აზიდული
ოცნების მიერ...
ვერცა თავზარმა,
ვერც ცრემლებმა
შენ ვერსად გძლიეს...
და... გაგონდება ზოგთა სახე
პირმოთნეების...
(მათგან უდროოდ გადამკრალი
ფერფლი იების)...
მათ ერთმანეთის სიძულვილით
განვლეს დღეები,
და მაინც ერთურთს
უღიმიან თეთრი კბილებით...
ვაგლახ, ისინი ჰგვანან
იგივ მტვრის ნაწილაკებს,
რომ ბრჭყვიალებენ
მზის არილში ნაირფერ შუქზე...
რომ ვერ უძლებენ
დროს და სიმაღლეს,
და მერე სადღაც ქრებიან უცებ...
შენ ახლა უფრო მაღალი ხარ,
უფრო ძლიერი...

### წლების მარდასახვა

მე რომ გიწამე,
მზე პირველად ახელდა თვალებს...
მე რომ გიწამე,
თვალში დღისებრ ბრწყინავდა ღამე.
მე რომ გიწამე,
როს ვედავე ატეხილ ქარებს,
დავნებდი დუმილს...
და დუმილში კვნესოდა გული...
...მზე შენმიერი,
უფრო ვრცელი, უფრო ძლიერი,
კვლავ ახელს თვალებს,
როგორც ოდეს, როცა გიწამე...
გჯეროდეს, ცხადად, არა ოცნებით,
კვლავ ვმეორდებით...
(როგორც ფოთლები
მეორდებიან)...
კვლავ ვმეორდებით...

### ხალხურ კილოზე

ბედის თვალი დამეკარგა,
არ გინახავს, ქარო?..
მომიძებნე იგი კარგად,
შენ ხომ ყველგან ხარო...
მომაგებე ფრთები შენი,
გამიყოლე თანო...
მხოლოდ ახლა თუ მიშველი,
მძლეთამძლეო ქარო...
თორემ ბინდი მოვა მალე,
ასე მიტომ ვჩქარობ,
მზე დახუჭავს ლამაზ თვალებს,
მომისწარი, ქარო!..
გიშრის თვალი დამეკარგა,
გესმის, გესმის, ქარო?
ღრუბლის ტალღა
ყალყზე დადგა,
ვაი, საით ხარო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კლავდია ლევლაჩიანი

გულითადი ღიმილით გამიღო კარი პატივცემულმა კლავდიამ. მეც კეთილი ზრახვით მოსული სტუმარი ვიყავი, მქონდა პატივი ჩვენი ამაგდარი მწერლისათვის გადამეცა ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივის, მისი სარედაქციო [illegible]ეგიისა და მრავალათასიანი მკითხველის მილოცვა, მეგობარი მწერალი ქალების სალამი დაბადების სამოცდამეათე წლისთავის გამო.

პატივცემულ კლავდიას მადლიერების ნათელი დაეფინა სახეზე. კალამი ხელში შემორჩენოდა. მაგიდაზე გაშლილი ქაღალდები მოწმობდა, რომ მწერალი მუშაობდა.

— თქვენი საიუბილეო წელი ნაყოფიერი გამოდგა. ახალი რომანის — „ვახუშტი ბატონიშვილის“ ძალზე საინტერესო თავები გამოაქვეყნეთ. წიგნიც მალე იქნება?

— გმადლობთ შექებისათვის. ამ რომანიდან პატარა მოთხრობებს კრებულად ბეჭდავს „ნაკადული“. მალე გამოვა. მთლიანად რომანზე კი ჯერ ისევ ვმუშაობ. ვაპირებ წლის ბოლოს ჩავაბარო „მერანს“. ენახოთ... პასუხისმგებლობით ვეკიდები. ვახუშტი პოეტური პიროვნება იყო. ამასთან დიდი მეცნიერი...

— ბიოგრაფიული რომანის შექმნა თქვენი სტიქიაა. თავის დროზე მკითხველმა გულთბილად მიიღო „სიჭაბუკე პოეტისა“ და „სიცოცხლე და უკვდავება“, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იაკობ გოგებაშვილზე.

— ჰოამაგე წინაპართა ცხოვრება და შემოქმედება უნდა იცოდეს მოზარდმა. მათი მაგალითი თავის წილად აღზრდის უებარი საშუალებაა.

— სამსახურებრივ სარბიელზეც დასდეთ ამაგი ნორჩ თაობას.

— ოცდაცხრა წელი ვიმუშავე განათლების სამინისტროში.

— კი არ მუშაობდით, ილვწოდით... თაობები აღიზარდა თქვენი შედგენილი სახელმძღვანელოებით. როგორც ვიცი, თქვენ ავტორი ბრძანდებით მეცხრე კლასის „ქართული ლიტერატურის ქრესტომათიისა“, რუსული სკოლისათვის მეხუთე და მეშვიდე კლასების „ქართული ენისა“, თანაავტორი სასკოლო სახელმძღვანელოებისა მეოთხე და მეექვსე კლასებისათვის. ახლა სასწავლო დოკუმენტური ფილმები? „შოთა რუსთაველი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე“... პედაგოგიური საზოგადოების წევრი ბრძანდებით. წლების მანძილზე მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრების სამხატვრო საბჭოს წევრი.

— უყურადღებოდ არ დარჩენილა ჩემი მცირე წვლილი: რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მომანიჭეს...

— 1970 წელს იაკობ გოგებაშვილის მედლით დაგაჯილდოვეს!

მწერალი დასტურის ნიშნად თავს მიქნევს, ეამაყება, მაგრამ ეუხერხულება ჯილდოებზე საუბარი...

— ოჯახის თემას, ქალს, გარკვეულ ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილს უთმობთ თქვენს შემოქმედებაში... ჯერ კიდევ „გულომ“ როგორი თანაგრძნობით ააფორიაქა მკითხველი!

— ოჯახი მთავარია! სიყვარულით შეკრულ გარემოში ღირსეულად იზრდება ბავშვი. ოჯახი სიკეთის სანყისია, უმამოდ დარჩენილი ბავშვები მეცოდებიან. დედაშვილობა დიდი, ლამაზი გრძნობაა. უნდა ვაღვივოთ დღენიადაგ...

მომაგონდა მწერლის მოთხრობები — „ჩემი დედა“, „ფუძე“, „მზის სხივით სავსე პეშვი“.

— პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი?

— დიდი დრო გავიდა, „ნორჩ ლენინელში“ დავბეჭდე ლექსი, — ჩაეცინა მწერალს, — ის იყო და ის, მეტი ლექსი აღარ დამიწერია, თუმცა ან განსვენებულმა გიორგი შატბერაშვილმა ძალიან შემიქო. პირველი წიგნი „ნიას ქოჩორა“ 1940 წელს გამოვეცი. მის მერე, რაც შემიძლია, ვმუშაობ... შეფასება მკითხველისათვის მიმინდვია. მადლიერი ვარ ჩემი თაობის მეგობარი მწერლებისა: ნიკა აგიაშვილისა, მარგო თომაძისა, განსვენებულ მიხეილ ჯაფარიძისა, რომელთაც გულისხმიერებით, კეთილი სიტყვით წამახალისეს და გამამხნევეს შემოქმედის ძნელ გზაზე. დაუვიწყარია შეხვედრები ნინო ნაკაშიძესთან, შიო მღვიმელის ოჯახთან, მის ასულ ქეთევან ქუჩუკაშვილთან... ყველას აბა, როგორ ჩამოვთვლი...

— ბავშვებისათვის ვწერ ახალ წიგნს, — მიმიხვდა მწერალი ფიქრს — „გიზგიზებენ ყაყაჩოები“ ერქმევა. მინდა ბავშვი წიგნთან დავამეგობრო, რა დასამალავია, ზოგი ეგრე რიგად აღარ ეტანება...

პატივცემულმა კლავდიამ ხილის სუფრა შემომაპარა, თვალისათვის იმდენად საამო, რომ ხელი არ წაგცდებოდა.

წლების მანძილზე ვმუშაობ პატივცემულ მწერალთან ერთად საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის ბიუროში; ყველა დავალების პირნათელი შემსრულებელი, დარბაისელი მანდილოსანი მწერალი! — ასეთია მისი მეგობარი მწერლების აზრი ამ ძვირფას ადამიანზე.

მთაწმინდიდან ლურჯი საღამო ჩამოდგა. ღია აივნიდან თვალსაწიერი სწვდებოდა თბილისის კალთებს და მიჰყვებოდა კაბადონებად გადაშლილ სივრცეს. „ადამიანი თავისი დროის მონაკვეთში პატარა სივრცეს გაირბენს, სულ პატარა სივრცეს. დრო გამოუდგება. ადამიანს კვლავ უნდა სივრცეები გადალახოს“. გამახსენდა მწერლის ერთ-ერთი გმირის სიტყვები... ეს სურვილი მწერლის გულშიაც ღვივის და გვჯერა, პატივცემული კლავდია კიდევ მრავალ შემოქმედებითს „სივრცეებს“ დაიპყრობს.

ვუსურვოთ სიკეთე თავის ერთადერთ მშვენიერ ასულთან ია კოროშინაძესთან ერთად, დედა-შვილის ბედნიერება ხომ განუყრელია!

ქეთევან ჭილაშვილი

სტანისლავა ლიპტაკოვა

# ჟინჟღლიანი საღამო

ჟინჟღლიანი საღამო იყო, საკმაოდ ციოდა. მანქანა გარაჟში დავაყენე, კარი დავკეტე და მობუზული შინისაკენ წავჩანჩალდი. უეცრად ზურგსუკან ფეხის ხმა შემომესმა, ვიღაც მომდევდა. ღამის თერთმეტ საათზე მიყრუებულ შესახვევში უცნობ პირთან საუბარს მოვერიდე და ნაბიჯს ავუჩქარე. მაგრამ ის არ მეშვებოდა.

— მომიტევეთ, გეთაყვა, — მომაძახა ბოლოს და შევჩერდი, რადგან გაქცევა უაზრობა იყო: მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა და ამ გუბეებში კუსაც კი ვერ გავუსწრებდი. მდევარი მომიახლოვდა და შევნიშნე, რომ იგი საკმაოდ ელეგანტურად გამოიყურებოდა — ეცვა ღიაფერის ლაბადა, სქელლანჩიანი ფეხსაცმელი და ბაცი ფერისვე ხელთათმანები ეკეთა.

— მომიტევეთ, გეთაყვა, — მძარცველმა თავაზიანად წამოსწია შლაპა, — არ შეგიძლიათ ცოტაოდენი სამსახური გამიწიოთ?

— „რა სიმპათიური ბანდიტია!“ — გავიფიქრე და თვალი შევავლე. ორმოც წლამდე ასაკისა იქნებოდა, მთლად ინტელიგენტური გარეგნობის იყო.

— საქმე ის არის, რომ თქვენი გარაჟის მახლობლად გუბეში გავეჩხირე და ვერა და ვერ გამოვდივარ ძალიან დაგიმადლიდით, თუკი დამეხმარებოდით. თუ შეიძლება ჩემი „ვარტბურგის“ საჭესთან დაბრძანდით და მე უკანიდან ვუბიძგებ მანქანას.

„ესეც შენი მძარცველი!“ — შვებისაგან სიცილიც კი წამსკდა.

— სიამოვნებით! — მივუგე მე ისევ, — წავიდეთ.

დავბრუნდით და დიდი სიფრთხილით ფეხი რომ არ დამსველებოდა, მანქანაში შევძვერი.

— აბა, დასძარით! — დაიძახა ყოფილმა „ბანდიტმა“ და მე ძრავა ჩავრთე. მეორე ცდაზევე „ვარტბურგი“ გუბიდან ამოხტა. როდესაც მანქანის პატრონი ჩემთან მოვიდა, დავინახე, რომ მისი ქათქათა ლაბადა მოსრიალე ბორბლებისაგან სანიღბავ ხალათად ქცეულიყო.

— გაგიხარია, ცოლისაგან კარგად მოგხვდებათ, — ვუთხარი მე.

— ცოლი არა მყავს.

ყურადღებით შევათვალიერე ჩემი შემთხვევითი ნაცნობი. ახლა კიდევ უფრო მომეწონა: „ჰმ, ორმოციოდე წლის სიმპათიური და ელეგანტური მარტოხელა კაცი, „თანაც“ ახალი „ვარტბურგი“ აქვს... და ალბათ ბინაც არ ექნება ურიგო“...

— ნება მიბოძეთ გაგეცნოთ, — თავაზიანად დახარა თავი, — ინჟინერი ვიშკოვსკი, ქიმიკოსი. ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობელი ვარ, თქვენ რომ არა, მთელ ღამეს ამ გუბეში მომიწევდა ჯდომა, დამეთანხმებით, არც ისე სასიამოვნო პერსპექტივაა. უნდა გამოგიტყდეთ, პირველად ვუყუმანობდი, ღირს კი ასეთი დახმარება ქალს ვთხოვო-მეთქი. მაგრამ დავინახე, რა მარჯვედ შეხვედით გარაჟში და მაშინვე მივხვდი, რა ჩინებულად ფლობდით მანქანას.

— გმადლობთ, ქათინაურებისათვის. — მივუგე მე.

— ო, დარწმუნებული ვარ, თქვენ ბევრი სხვა რამის ნიჭი და უნარიც გექნებათ.

— არ შემცდარხართ. — ვთქვი მორცხვად. გავიფიქრე, შეიძლება ჩემი გარაჟის გვერდით დამდგარმა გუბემ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს-მეთქი — იცით, მე პროფესიონალი მძღოლი არა ვარ. მე საუცხოო საჭმელებს ვამზადებ, ვქსოვ, ვქარგავ...

— ჩინებულია! — გაიღიმა ინჟინერმა; თუ ნებას მომცემთ, შინამდე მიგიყვანთ?

— სიამოვნებით, — ვუთხარი მე, — ვგრძნობდი, რომ „ვარტბურგის“ მფლობელს მოვწონდი — არც ისე შორია, მაგრამ საშინელი ამინდია.

— ეგ რა სალაპარაკოა. მე უსაზღვროდ მადლიერი ვარ თქვენი — ინჟინერი მანქანაში ჩაჯდა და ალმაცერი მზერა მესროლა.

— განსაცვიფრებელი კოსტიუმი გაცვიათ, — მითხრა მან, — ტანზე ჩამოსხმულივით გადგათ, სად შეაკერინეთ?

— ო, ტყუილად კი არ ვიქებდი თავს ტალანტით, — გავიღიმე ნაზად, — მე თვითონ შევიკერე.

ინჟინერი რაღაცაზე ჩაფიქრდა. იმის ადგილზე მეც ჩავფიქრდებოდი — შეხვდა საკმაოდ მოხდენილ ქალს, რომელიც თავისი ოცდათექვსმეტი წლის ასაკთან შედარებით გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, აქვს „ჟიგული“, ეხერხება ქსოვა, ქარგვა, კერვა, გემრიელი საჭმელების კეთება, მართლაც აქვს ჩაფიქრების მიზეზი ორმოცი წლის მარტოხელა კაცს...

— მომიტევეთ, — თქვა უეცრად ინჟინერმა, — მინდოდა კიდევ მეთხოვა რამე...

— რა საყვარელია, — გავიფიქრე მე — ამოდენა კაცია და ასეთი მოკრძალებული. ჯერ ალბათ მთხოვს, რომ მასთან ერთად ვივახშმო... იქნებ სჯობდეს, უცბად არ დავთანხმდე, თორემ იფიქრებს ქარაფშუტა ვინმეაო...

— თუ ღმერთი გწამთ...

— თქვენ ისეთი ჩინებული ხელმარჯვე ბრძანებულხართ... იქნებ, შალითა შემიკეროთ მანქანისათვის?

ისე მივუჯახუნე „ვარტბურგის“ კარი, რომ საეჭვოა ოდესმე გაალოს...

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ნაჭყებია



ნანა მეგრელიძე

# მტრედისფერი

ნარკვევი

სძინავს ნაგომარს. მოიპარება შუაღამე. ნაჯაფარია სოფელი და ადრე იძინებს, რომ დილის რიჟრაჟს შეეგებოს. ზაფხულში გათენებას არ აცლიან ჩაიში, ყანაში, ფერმაში, ბჟოლის ფოთოლზე მიმავალი ფეხადგმული სილუეტები, მერე თანდათან თეთრ სამოსელში ეხვევიან. თენდება.

ოთხი-ხუთი საათი სძინავთ ღონისა და ჯანის პატრონებს, ყველა შრომისუნარიანს, ყველა მიწის მუშას, როცა ყანაა მოსარწყავი და ვაზი გასაფურჩქნი, ძროხაა მოსაწველი და ჩაი მოსაკრეფი.

რა კარგია ნამიანზე ასკინკილით გარბენა. ფეხისგულებს ეფერება უამრავი მარგალიტი. რამდენს უნატრია, სხვაგან წასულს: ერთი, ჩემს სოფელში ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა გამატარა და მერე მომკლაო.

აქაურებს ნატვრა რად უნდათ! აქვეა, აი, ეს მწვანე მდელო, გაირბინე, ჯანი მოგემატება, მთელი დღე ჩიტივით იქნები და მრავალტონიან მანქანას ცალი ხელით დაძრავ...

ახლა კი სძინავს ნაგომარს და ორი გამჭოლი ფარი აფრთხობს სიბნელეს. ახალი მტრედისფერი „ჟიგული" თეთრად ქათქათებს შარაგზაზე. ღია სარკმლიდან მთვარის შუქზე მოჩანს ლამაზი სახე, ოდნავ დაბურცული ტუჩები, ეშმაკური, დაბინდული თვალები და მაღალი ყელი.

მარგალიტები დამშვენდებოდა ამ სუროს! მის ქვემოთ კი, ხალათის ღილი ურჩად შეხსნილა და იქ, დამწვარი კანი თეთრ ზოლში რომ გადადის, უკითხავად იცქირება მთვარე.

ოცდაერთი წლის გოგო მარტოა ამ წყნარ ღამეს და ვინც არ უნდა შეხვდეს, ყველას ღიმილს აგებებს.

გვიან ღამემდე ამუშავა „საქართველო". ხვალ თბილისში მიდის და ბევრი საქმე მოითავა. პირდაპირ ქარხანაში მივა, სადაც მისი მანქანა დაამზადეს. სულ ერთია, ვინ შეხვდება — დირექტორი, საამქროს უფროსი თუ მუშა. ეტყვის: დეტალები როცა გამოდის მწყობრიდან, სათადარიგოს ვერ ვშოულობთ, ვწვალობთ გოგოები, რგოლის წევრები, არ შეიძლება უფრო საიმედოდ დაამზადოთ მანქანაო?

ეტყვის, რომ ნაგომარში ოთხი „საქართველოა" და ოთხივეს ცხრამეტი, ოცი-ოცდაერთი და ოცდაორი წლის ქალიშვილები მართავენ.

ამ უზარმაზარ მანქანებს კოლმეურნეობის მისადგომ პლანტაციებში მხოლოდ ისინი დაატარებენ. რას ფიქრობენ მათი დამამზადებლები? არ შერცხვებათ? აბა, ნახონ, როგორ ხოხავს მანქანებთან ოთხი ლამაზი გოგო, რომ როგორმე ისევ ქშინვა დააწყებინონ, ისევ გააყრუონ ხმაურით არემარე. მანქანები კი ხშირად ჩერდებიან, დუმდებიან და ხმას არ იღებენ. იტყვის. რომ არის ცისანა თალაკვაძე, რგოლის ხელმძღვანელი. იგი პირველად 1977 წელს დაჯდა მანქანაზე და მაშინ შესრულდა ჩვიდმეტისა. არც მამას უსმინა, არც დედას, არც დებს. გაბედა კი მათი იმედით. მათი შრომის მადლით.

ნუთუ შეცდა?

პირველ წელს მექანიზატორთა რგოლში მხოლოდ ცისანა იყო გოგო, დანარჩენები მამაკაცები იყვნენ. წარმატებებმა მას ფრთები შეასხა. 22 ტონა ფოთოლი მოკრიფა. ახლა როგორ დაჰყავდა მანქანა! შინაგანად ეფერებოდა კიდეც. ფრთხილად, როგორც ქალს შეუძლია. თითქოს სულს უბერავდა. არ მიღალატო, დამეხმარე და შენზე ვილოცებო.

მეორე წელს 40 ტონა ფოთოლი „აჩუქა" მანქანამ. გაიხარა ცისანამ, წმენდდა და აპრიალებდა, ისე შეიყვარა, როგორც სულდგმული. რომ წვიმდა და სველდებოდა, ეცოდებოდა, რომ ცხელოდა და მზის ქვეშ იწვოდა, მაშინაც ეცოდებოდა. თავის თავი კი სულ არ ახსოვდა, ფოლადს ქვეშეცნეულად ხელს უსვამდა და თითქოს ამშვიდებდა: „აი ახლა გადაიღებს და გვეშველებაო, აი ახლა მზე შუბის ტარიდან დაბლა გადაიხრება და ამოვისუნთქავთო".

ორივეს შეუყვარდა მთვარიანი ღამე, სიგრილე აცოცხლებდა ორივეს, სულს ათქმევინებდა. ვარსკვლავები კაშკაშებდნენ თავზე და საითაც არ გაიხედავდა ცისანა. ერთი ვარსკვლავი მუდამ თან დაჰყვებოდა მფარველ ანგელოზად, იქნებ საბედოდ!

ოცნებები აეშლებოდა გოგონას. გრძნობდა სიცოცხლის სიყვარულს, რაღაცის სიხარულს, რაღაცის სინაზეს, რაღაცის მონატრებას. ზოგჯერ რომ ცრემლებამდე მიჰყავდა და ზოგჯერ ხმამაღლა აცინებდა. სინორჩე მოეძალებოდა, რომ ვერავის გასძახებდა, ვერავის ეტყოდა. მანქანას გადაუსვამდა ხელს, ეს იყო — უტყუარი და ერთგული მეგობარი.

მან აიყოლია და გააბედვინა ამ რომანტიკით ცხოვრება ნანა მეგრელიძეს, ნინო ნაჭყებიას, იამზე სარიშვილს. რომელსაც არ უნდა შეხედო. ნეტა შენს დედასო, წამოგცდება, იმდენად კარგები, ერთმანეთზე უკეთესები არიან ოთხივენი.

და შეიქმნა ახალგაზრდა მექანიზატორ გოგონათა რგოლი სოფელ ნაგომარში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



იამზე სარიშვილი



# ჟიგული"

ერთადერთი — საქართველოში და თანაც ყველაზე ლამაზ სოფელში.

რა სცოდნია ამ მანქანას! ისე მოაჯადოვა ქალიშვილები, შუაღამემდე დააცურებენ სოფლის თვალსაწიერზე.

სიყვარული სცოდნია ამ მანქანას. თუ შეიყვარე, მერე ველარ მოშორდები. ერთად შრომაში დაიკრიფა შარშან 116 ტონის ნაცვლად 135 ტონა ფოთოლი.

ოთხ წელიწადში შეასრულა რგოლმა ხუთწლედი. ახლა მეთერთმეტის ფოთოლს კრეფენ „საქართველოთი". მერგოლური ცისანა თალაკვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პაშა ანგელინას სახელობის პრიზის მფლობელი, პარტიის წევრი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების პირველი კურსის სტუდენტი, სრული უფლებით გამოთქვამს საყვედურს „საქართველოს" დამამზადებელთა მიმართ.

ოთხივე მექანიზატორს თავისი დამხმარე ჰყავს და ერთიც საერთო მძღოლი, რომელსაც ფოთოლი მიაქვს ჩასაბარებლად. ცისანას დამხმარე მამაა, როცა მანქანა ზიანდება, მამა შველის.

...სახლთან მისულიყო. გააჩერა „ჟიგული", (კოლმეურნეობამ რომ ურიგოდ მისცა) სარკმლიდან სოფლის ცენტრისაკენ გაიხედა. რა კარგი დაგეგმილია სოფელი: აგერ სკოლა, აგერ კოლმეურნეობის კანტორა, კულტურის სახლი.

— ნაგომრისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს! — ჩაილაპარაკა და ყურზე ვარსკვლავივით ელვარე საყურე შეირხა.

ლია კაკაბაძე



ცისანა თალაკვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იროდიონ ქავჟარაძე

# დედა იაქზე

სიხარულიც არის და სიხარულიც! მანანას ცხოვრებაში ბედნიერება მოხდა: კონსერვატორიის სტუდენტს ოპერა „აბესალომ და ეთერის" მთავარი როლის შესრულება შესთავაზეს. ცნობილი მომღერალი, რომელიც ამ როლს ასრულებდა, ავად გახდა, მკურნალობა სჭირდებოდა. დუბლიორს ამზადებდნენ, მაგრამ მისი გამოყვანა პრემიერაზე შეუფერებლად მიიჩნიეს. მანანა სცენური გარეგნობით და ხმითაც სჯობნიდა შემცვლელს. ისიც უწყობდა ხელს, რომ ეთერის როლი თავისით შესწავლილი ჰქონდა. წინასწარ გამოსცადეს. გოგონას ასეთი პატივი უნდა გაემართლებინა და ამიტომ დაძაბულად მუშაობდა.

მანანა მსახიობებთან ერთად ტროლეიბუსის გაჩერებასთან დგას. რეპეტიციაზე საუბრობენ. მათ მახლობლად ორი ხანდაზმული მანდილოსანი იმყოფება.

— ბედი მიეც, ცივ ქვაზე დასვიო, რომ იტყვიან, ისეა. — თქვა ერთმა ქალმა და მსახიობთა ჯგუფისკენ გაიხედა. — აი ის, კონსერვატორიის სტუდენტია და უკვე ეთერის პარტიას ამღერებენ. ჩემმა ქალიშვილმა ჩინებულად დაამთავრა კონსერვატორია და ოპერას ახლოს არ გააკარეს.

მანანას ოპერაზე ლაპარაკი რომ მოესმა, ყურადღება მიაქცია.

— კარგი ზურგი ექნება, მშობლები...

— მშობლები!

ვინ იცის ვისი შვილია, ვინა გდია, ვიღაც ნაშვილები!

— მგონი, გვისმენს... რა ხმამაღლა ლაპარაკობ!..

— ბოლმა მახრჩობს... რატომ უნდა დამიჩაგრონ შვილი.

— ნახვამდის... მე არაფერი გამიგონია, — თქვა მეორე ქალმა.

— მეც შენსკენ მოვდივარ.

მანანამ ყველაფერი მოისმინა, მიხვდა, ჩემზე ლაპარაკობდნენო. აენთო: მე, ნაშვილები?! იმ ჭორიკანებს მიაშურა. გვიან მოისაზრა. ქალები ტაქსში ჩასხდნენ, თავს უშველეს.

* * *

მანანას თითქოს ნიადაგი გამოეცალა, გამოიფიტა. არც თავისი დიდი წარმატება ახარებდა. ვისთვის გაეზიარებინა ეს საშინელი ამბავი?.. მეგობრები, ამხანაგები გაიხსენა... არავის .. არავის!.. თავი როგორ გაიხადოს საჭორაოდ, სალაყბოდ. მშობლებს უნდა მიმართოს... დედას არა... მამას... როგორ, რა უთხრას?. ან იქნებ ვიღაცამ უსაფუძვლოდ წამოროშა? ხომ შეიშლებიან ეს მოხუცებული ადამიანები... ღრმად მოხუცებული ადამიანები! ახლა მათი წლოვანება გაიხსენა: მე რომ გავჩნდი, ჩემი მშობელი დედობის ასაკს გადაცილებული ყოფილა!...

— დავიღუპე, მათი შვილი არა ვარ! — წამოიძახა. — მაგრამ, როგორ შეიძლება, ასეთი კეთილი დედ-მამა ჩემი მშობლები არ იყვნენ?

მოღუშული, აფორიაქებული მივიდა შინ. მუდამ ხალისიანი, მოკისკისე, თითქოს დამუნჯდა. ცრემლებს ძლივს იკავებდა.

გაოცებული, შეშფოთებული დედა იამზე შეეკითხა:

— ოპერაში რაიმე ცვლილება ხომ არ მომხდარა?

— არაფერი. — მშობლები რომ დაემშვიდებინა, კბილის ტკივილი მოიგონა. შინაურულად უწამლეს. „ტკივილი" თითქოს დაუცხრა. სახე კი მაინც დიდ მწუხარებას გამოხატავდა.

მასწავლებელი თამაზი და ექიმი იამზე, იმჟამად პენსიონერები იყვნენ, მშვიდი და უწყინარი ცხოვრება ჰქონდათ. ცქრიალა მანანა იყო მათი იმედი და სიხარული. საღამოს იამზე ადრე წვებოდა და წიგნის კითხვაში ჩაეძინებოდა. მანანა კი როიალს მიუჯდებოდა და ოპერის ნაწყვეტებს მღეროდა. ახლა ჩაფიქრებული იყო, ოთახში ადგილს ვერ პოულობდა.

— შვილო, რაღაც გაწუხებს... გამიზიარე, ერთად დავძლიოთ.

— მამა, ერთი რამ უნდა შეგეკითხო, ხომ არ გამიწყრები? — მანანას ცრემლები წასკდა.

თამაზი ადგა, თავზე ხელი გადაუსვა:

— რა უნდა იყოს ასეთი?!..

მანანა გულამოსკვნილი ტიროდა.

— რა მოგდის?! დედაშენს დავუძახებ.

— დედაჩემს?! არა!.. — მტკიცედ თქვა მანანამ.

— ჰო, დედაშენს! მე თუ ვერ მეუბნები, დედას უთხარი, რა გაწუხებს.

— არა, მამა. მირჩევნია თქვენ გითხრათ.

— თქვენობით ლაპარაკი... რა, ახალი ამბავია?!

— მამა, მე თქვენი სისხლხორცი ვარ?

— მანანა, რას ამბობ?!.

— რაც გავიგე, ის მალაპარაკებს... — სლუკუნით უპასუხა მანანამ და სხაპასხუპით უამბო ის, რაც ტროლეიბუსთან გაიგონა.

თამაზი ყურს არ უჯერებდა, ხელებს იფშვნეტდა, ბოლთასა სცემდა.

— იამზეს დავუძახებ... ვიღაცას მოუწამლიხარ.

— ვიღაც ბოროტი, მაგრამ სინამდვილეს რა ეშველება! — თქვა ქალიშვილმა, — მე რომ გავჩნდი, დედას ბავშვის გაჩენა აღარ შეეძლო.

— ვინ იყო ის გესლიანი გველი, ბედნიერი ცხოვრება რომ დაგვინგრია?!

თამაზმა მაგიდაზე წიგნს ხელი წამოავლო და იატაკზე დაანარცხა.

— რა ამბავია, თამაზ?! — გაისმა იამზეს ძახილი.

— არაფერი... წიგნი დამივარდა.

თამაზმა ერთხანს ოთახში იბორიალა. როგორღაც შეძლო, დამშვიდებულიყო.

—თუ ასეთი შავი დღე გაგვითენდა, ყველაფერს გეტყვი, არაფერს დაგიმალავ.

კარადიდან საქაღალდე გამოიღო.

— მომისმინე. — მანანას წელზე ხელი მოხვია თამაზმა და მაგიდასთან დასვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

— უშვილო ვიყავით, მკურნალობამ არ გვიშველა, ბუნების მიერ დაწესებულმა ვადამ რომ გაიარა. უბედობამ გადაგვაწყვეტინა, შვილი აგვეყვანა.

უდედმამო ბავშვთა სახლს მივაკითხეთ. სახლის გამგე საუკეთესო ბავშვებს გვთავაზობდა. ბავშვები ყურადღებას არ გვაქცევდნენ, ჟრიამულით იკლებდნენ იქაურობას. მე და იამზე ვმერყეობდით.

ამ დროს საწოლში გამხდარი, ფერმკრთალი გოგონა შევნიშნეთ. თვალს არ გვაშორებდა. შეგვეცოდა.

— ახალმოყვანილი ბავშვია, ჯერ ფეხზე ვერ დავაყენეთ.

ბავშვმა საწოლზე წამოიწია და დაიძახა:

— დედა!

გოგონამ უფრო დაჟინებით დაიძახა:

— დედა, დედა!

იამზემ ბავშვი ხელში აიყვანა და მოუალერსა. საწოლში ჩაწვენა რომ მოუნდომეს, გაჭირვეულდა.

— დედა, დედა! — იძახდა პატარა და იამზეს ეხუტებოდა.

ორივეს ცრემლი მოჯვერია. ბავშვი ძლივს მოგვაშორეს. გაოგნებულმა იამზემ თქვა:

—ამიერიდან ამ გოგონას დედა მე ვარ.

წინააღმდეგობა არ გამიწევია. ყველას გაუკვირდა, ავადმყოფი ბავშვი რომ ვიშვილეთ... აი შენი სურათი, როგორი იყავი.. ზრუნვა არ დაუკლია, შენს სასთუმალთან რამდენი ღამე გაუთენებია. ახლა კი უბედნიერესი დედაა, ასეთი ქალიშვილი რომ ჰყავს.

თამაზი ცრემლს ვერ იკავებდა.

— ახლა დედაშენის წერილს წაგიკითხავ: „დავტირი შენსა და ჩემს უბედობას. მარტოხელა ავადმყოფი ვარ. ამ წუთისოფელს მალე გავშორდები... ამიტომ კეთილ ადამიანებს ჩაგაბარე. კარგი მამის შვილი ხარ. იგი მიეშველა კაცს, რომელიც ზღვაში იხრჩობოდა, გადაარჩინა, მაგრამ გულმა უმტყუნა და ზღვასთან განუტევა სული... გკოცნი, გკოცნი ჩემო შვილო მანანა.. შენი კარგად ყოფნით, ალბათ საიქიოს გავიხარებ“...

თამაზი დადუმდა. მანანას ლამის გული წასვლოდა.

— დედა შენ თვითონ ამოირჩიე...

— მამაც... ჩემო მამიკო!.. — თამაზს მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა, — დედიკომ ეს ამბავი არ გაიგოს!..

— არავითარ შემთხვევაში!

— დედა, არ გძინავს?.. მინდა ლოგინში ჩაგიწვე...

...მეორე დღეს მშვიდად გაეღვიძა. საშინელ სიზმრად ეჩვენებოდა გუშინდელი ამბავი და, თუ მიყუჩებული ტკივილი გაახსენდებოდა, ცდილობდა, მსწრაფლ თავი დაეღწია. ჩვეულებრივ მიუჯდა როიალს და აჟღერა, სიმღერა სცადა, მაგრამ თავისი წკრიალა ხმა არ ემორჩილებოდა. შეშინებულმა ინსტრუმენტს ხელები მაგრად შეახო. გრიალზე მშობლები გამოვიდნენ.

— რა მოხდა?!.

— ხმა წამერთვა... ველარ ვმღერი!..



# გმირები არ კვდებიან

1941 წლის 22 ივნისი.

1418 დღე და ღამე.

20 მილიონი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ 1418-მა დღემ და ღამემ. არ არის სოფელი საქართველოში, რომელსაც არ ჩაეცვას ძაძები, არ დაეღვაროს ცრემლი. დღესაც იღვრება ცრემლი...

არის ასეთი სოფელი ქართლში — თორტიზა. თორტიზიდან იყო გმირი ქალიშვილი თინა იოსებიძე.

თინა... სულ ახლახან 60 წელი შეუსრულდა. თავი მოიყარეს შინაურებმა და გმირის თაყვანისმცემლებმა. თბილისიდან საგანგებოდ ამოვიდა პოეტი ხუტა ბერულავა, გორიდან ჯემალ ინჯია. ეს იყო იანვარში.

და აი მოვიდა მაისი. მოვიდა სიმწვანესა და მზეში გამოხვეული. მაისი მუდამ მაისია, 9 მაისი კი მაისთა დედოფალია.

საბჭოთა ხალხი მსოფლიოს მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, აღნიშნავდა გამარჯვების 35-ე წლისთავს. კარგი საქმე წამოიწყეს გორის რაიონის კომკავშირელებმა. მათი დაკვეთით მარმარილოთი გამოიკვეთა გმირის სახე — დიდი და პატარა დაიძრა იმ სკოლის ეზოსაკენ, სადაც თინა სწავლობდა. გმირი გოგონას ძეგლი უნდა გახსნილიყო...

...პარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვ. აბრამიშვილი საბურველს ხსნის ძეგლს... მარმარილოდან შემოგვცქერის ჩვენი სისხლი და ხორცი — გმირი თინა. საპატიო ხაზზე დგანან ავტომატშემართული პიონერები, უწყვეტ ნაკადად მოედინება გვირგვინები და გირლიანდები. უცრემლოდ ვერ მოისმენდით ლიტერატურულ-მხატვრულ მონტაჟს, შექმნილს ხ. ბერულავას „თორტიზელი ქალიშვილის“ მიხედვით, რომელიც წარმოადგინა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. არაქელოვამ.

სოფელმა მუხლი მოიყარა გმირი ქალიშვილის ძეგლის წინ.

გმირები არ კვდებიან!
გმირები ცოცხლობენ!
გმირები ჩვენთან არიან!

ზ. ნოზაძე



# დიდი პაექრობის მოლოდინში

### საჭადრაკო მიმოხილვა

თითქოს განზრახ მოხდაო, საჭადრაკო კალენდარმა ყველაზე უფრო საინტერესო შეჯიბრებები წლის მეორე ნახევრისათვის შემოგვინახა.

პირობითად რომ ვთქვათ, ქართველი მოჭადრაკე ქალები „ეშელონებად" დაიყვნენ — ყველა თავის „რეგიონში" საბრძოლველად ემზადება.

პირველ „ეშელონში" 5 დიდი მოჭადრაკე შედის: მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატები ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი. მაია ჩიბურდანიძემ ჯერ კიდევ კარგა ხანს უნდა მოუცადოს იმ მოჭადრაკის გამოვლენას, რომელიც მას 1981 წელს შეხვდება. ამასობაში კი მაია ყოველმხრივ ემზადება. მისი გამოსვლა ბაქოს ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში პირდაპირ ბრწყინვალე იყო. მაიამ სავსებით იოლად შეასრულა ქულათა ნორმა, რომელიც საერთაშორისო ოსტატისათვის იყო დაწესებული და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმასაც მისწვდება. ეს კი ქალთა ჭადრაკის ისტორიაში მხოლოდ ჩიბურდანიძის დიდმა წინამორბედმა ნონა გაფრინდაშვილმა შეძლო. ამასობაში ნონას სულაც არ სურს, რომ მასზე მხოლოდ „წარსულ დროში" ილაპარაკონ. გაფრინდაშვილ-იოსელიანის მატჩის მომგებს პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალში, ეტყობა, დაელოდება ჩვენი შესანიშნავი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. ცხადია, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ „გზაში" იგი დაამარცხებს ლვოველ მარტა ლიტინსკაიას. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩებში ეს მოჭადრაკეები ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა 1974 წელს რიგაში. აქ ლიტინსკაიამ, რომელსაც მაშინ სხვა გვარი (მული) ჰქონდა, ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა თავის მრისხანე მეტოქეს. მას შემდეგ, ვფიქრობთ, ძალთა თანაფარდობა მათ შორის დიდად არ შეცვლილა. ივნისში ალექსანდრიას „უკანასკნელი რეპეტიცია" ჰქონდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა). დიდოსტატი ქალი, თუმცა მას ქულები ნაკლებად აინტერესებდა, დიდი გატაცებით თამაშობდა და, პირდაპირ რომ ვთქვათ, შეჯიბრების ერთ-ერთი უძლიერესი მონაწილე იყო.

მეორე „ეშელონში" ჩვენ გვინდა შევიყვანოთ ციური კობაიძე, თამარ ხუგაშვილი, ციცინო კახაბრიშვილი, ალა ჩაიკოვსკაია. ისინი რამდენჯერმე იყვნენ რესპუბლიკის ჩემპიონები, თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდათ საკავშირო ასპარეზზეც. გავიხსენოთ, რომ ციური კობაიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო გოგონათა შორის, ალა ჩაიკოვსკაია — საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი. ხუგაშვილი და კახაბრიშვილი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ წარმატებით თამაშობდნენ ბულგარეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკებში. მათ ჯერ კიდევ წინ აქვთ საჭადრაკო წარმატებების სიხარული.

მესამე „ეშელონს" მივაკუთვნებთ ქეთევან მელაშვილს, ნინო მელაშვილს, მზია წერეთელს, ნანა ჩხაიძეს. მათთვის უცხოა შიში და ავტორიტეტებისადმი „მორიდება". შარშან, თბილისში, ვაჟთა შორის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატში დებმა მელაშვილებმა ცნობილი მოჭადრაკეები დაამარცხეს. წლეულს ქეთევანმა გამოჩენილ დიდოსტატს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ირინე ლევიტინას სძლია. ცხადია, მესამე „ეშელონს" დიდი პერსპექტივები აქვს. მის წარმომადგენლებს ნიჭიც უწყობთ ხელს და ასაკიც.

მეოთხე „ეშელონს" ჩვენ იმათ მივაკუთვნებთ, ვინც ეს-ეს არის საშუალო სკოლა დაამთავრა. ქუთაისელი თამილა მესხი, თქმა არ უნდა, დიდად ნიჭიერი მოჭადრაკეა. ხუმრობა ხომ არ არის, იგი ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის, მოიგო საერთაშორისო ტურნირი რუმინეთში. მესამე ადგილი დაიკავა ევროპის თასზე გოგონათა შორის (ეს იგივეა, რაც ევროპის ჩემპიონატი), იყო საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის, გაიმარჯვა მოსწავლეთა რამდენიმე რესპუბლიკურ ჩემპიონატში. მას კარგად უბამს მხარს გორელი ციალა ქასოშვილი. ციალამ ძირითადი „საჭადრაკო მოსავალი" წელს მოიმკო — მეორე ადგილი გაიყო გოგონათა საკავშირო ჩემპიონატში და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება ქალთა შორის.

ახლა კი ზოგი რამ მეხუთე „ეშელონზე" — მოსწავლეებზე: ოჩამჩირელი ქეთინო არახამია 12 წლისაა. ის, ვინც მაისში ქობულეთში უმცროსი ასაკის (13 წლამდე) მოსწავლეთა ასპარეზობას ადევნებდა თვალს მოიხიბლა გოგონას გონებამახვილობით, შეტევისადმი მიდრეკილებით, ეფექტური კომბინაციებით. როგორც მისმა მშობლებმა გვამბეს, გოგონა დაჟინებით მოითხოვდა ჭადრაკის მწვრთნელისათვის მიებარებინათ, ასეთი კი ოჩამჩირეში... არა ჩანდა. მაშინ




ქეთინოს მშობლები თბილისში გურამ მაჭავარიანს დაუკავშირდნენ და მოსკოვში — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკის დაუსწრებელ სკოლას. ამ სკოლაში მოხვედრა იოლი არ გეგონოთ. როცა არახამია ბოლოსდაბოლოს მოსკოვში გამოიძახეს, ბოტვინიკმა სთხოვა თავის ძველ კოლეგას საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ იაკობ როხლინს, შეემოწმებინა რჩამჩირელი მოსწავლის ცოდნა, როხლინი კმაყოფილი დარჩა და გოგონაც სკოლაში ჩარიცხეს. ქობულეთში არახამიამ შესანიშნავად ითამაშა და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის. უკანასკნელ მომენტამდე მას ამაში ედავებოდნენ თბილისელები ცირა მერეკლიშვილი, მაია უნგიაძე, ქეთინო მარდალეიშვილი. ასეთივე პრეტენზია უდავოდ ექნებოდა ქუთაისელ ივეტა კურცხალიას, მაგრამ ასპარეზობა ქობულეთში დაემთხვა საქართველოს ჩემპიონატს ქალთა შორის, რომელიც ქ. წულუკიძეში ჩატარდა. ივეტა, შეიძლება სავსებით მართებულადაც, წულუკიძეში გაემგზავრა, სადაც, თავის ცხოვრებაში პირველად, ცხადია, უკანასკნელად არა, ოსტატსაც კი სძლია. სულ ცოტა ხნის წინ ჩვენ ბევრი კარგი რამ შევიტყვეთ სამტრედიელ გოგონა სოფიკო ტერელაძეზე. სოფიკო 1972 წ. 8 სექტემბერს დაიბადა. ისევე, როგორც ბევრმა სხვა ბავშვმაც, ჭადრაკი უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე წერა-კითხვა. როგორ ისწავლა?—ისევე, როგორც ოდესღაც სწორუპოვარმა ხოსე რაულ კაპაბლანკამ (გვაპატიოს მკითხველმა ეს შედარება). მამამისის თამაშის ყურებით. სოფიკოს მამა ექიმი-ნევროპათოლოგი, შესაძლოა ტურნირებში არ მონაწილეობს, ისე კი კარგი პირველთანრიგოსანის ძალით თამაშობს. ჩვენ ლიტონი მტკიცება, რომ არ გამოგვივიდეს „სამტრედიელ პირველწყაროს" — ოსტატობის კანდიდატ მერაბ არჩვაძეს მოვიშველიებთ. ვინ-ვინ და მერაბზე უკეთ არავინ იცის, რა ხდება „სამტრედიის საჭადრაკო წრეებში". და აი, ეს გამოცდილი მოჭადრაკე და მწვრთნელი გვიმტკიცებს, რომ სოფიკო მამას ხომ მოუგებს და მოუგებს, სულ მალე მას უფრო ძლიერ მოჭადრაკეებსაც მიაყოლებს და წარმატების გზით ივლის. გოგონების ტურნირში, სამტრედიაში რომ გაიმართა, სოფიკომ 6 შესაძლებლობიდან 6 ქულა მოაგროვა. გაისად კი მოსწავლეთა იმ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ითამაშებს, სადაც წლეულს ქეთინო არახამიამ ისახელა თავი.

— სოფიკომ უკვე ბევრი რამ იცის, საჭადრაკო ლიტერატურას კითხულობს. მას კარგი კომბინაციური ხედვა აქვს, პოზიციასაც საკმაოდ სალად აფასებს. ახლა ჩვენ შევეცდებით იგი სერიოზული რესპუბლიკური ტურნირებისათვის მოვამზადოთ — გვითხრა მერაბ არჩვაძემ.

ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე სწორედ იმიტომ არიან გაფრინდაშვილი და ჩიბურდანიძე, რომ მათი მსგავსი ტალანტები ჭადრაკის ისტორიაში სულ თითებზეა ჩამოსათვლელი (ჩვენ ქალებსაც ვგულისხმობთ და ვაჟებსაც). მათი წარმატებების მიბაძვის ცდა კარგი საქმეა, გამეორება კი მეტისმეტად რთული. მაგრამ ახლა, როდესაც ქართველ მოჭადრაკეების ქალთა ფენომენზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს, ვფიქრობთ, ჩვენს დიდ ხუთეულს, დღეს იქნება თუ ხვალ, გვერდით ახალი ტალანტებიც უნდა ამოუდგნენ.

* * *

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა ახალი წარმატებებით ისახელეს თავი. პირველი სიტყვა მაინც ისევ მაია ჩიბურდანიძეს ეკუთვნის. მეტისმეტად ძლიერ შეჯიბრებაში — საბჭოთა კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალში მაიამ 5 პარტია მოიგო (მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტ მარკ ტაიმანოვთან), 9 ყაიმით დაამთავრა (მათ შორის მსოფლიოს პირველობის ყოფილ პრეტენდენტ დავით ბრონშტეინთან) და მხოლოდ 1 წააგო. შედეგი განსაცვიფრებელი გახლდათ — მაია საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გავიდა, რაც საქართველოდან ვერცერთმა ვაჟმა ვერ მოახერხა! მას შემდეგ, რაც მაია მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მას ასეთი საოცარი წარმატება არა ჰქონია!

ციალა ქაროშვილმა, ქეთევან მელაშვილმა და თამარ ხუგაშვილმა ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, სადაც მათ შარშანდელი ასპარეზობების შედეგის მიხედვით თამილა მესხი ელოდება.

ჩვენ გვჯერა, რომ „საჭადრაკო შემოდგომა" არა თუ არ გვაზარალებს, არამედ ახალ-ახალ წარმატებებს მოგვიტანს. ვნახოთ!

**გივი გამრეკელი**

თბილისი. სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სარა მასწავლებელი

ნარკვევი

ოქტომბრის რევოლუციიდან ორი თვე იყო გასული, ის რომ დაიბადა. ბავშვობა თიანეთის რაიონის სოფელ არტანში გაატარა. ხუთი დიდან უფროსი ის იყო და მშობლებს ვაჟის მაგივრობას უწევდა — საქონელს მწყემსავდა, მიწის დამუშავებაში შველოდა. დედასაც ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში. საოცრად ცელქსა და დაუდგრომელს ერთ ადგილას გაჩერებულს ვერავინ ნახავდა. რევოლუციასთან ერთად დაიბადე და იმიტომ ხარ რევოლუციასავით მშფოთვარე და დაუცხრომელიო, ეტყოდა ხოლმე მამა...

მოწიფული გოგონა იყო, თელავში რომ გადასახლდნენ. ჩასვლისთანავე პედაგოგიურ ტექნიკუმში (საბავშვო ბაღის განხრით) განაგრძო სწავლა, თუმცა ბავშვობიდან მფრინავობაზე ოცნებობდა. მალე ოჯახი უმამოდ დარჩა და ისევ მას, როგორც უფროსს უნდა ეღონა რამე: დღე ტექნიკუმში დადიოდა, ღამე — ფოსტაში. ღამის მორიგე-ტელეფონისტად დაიწყო მუშაობა. უჭირდა, მაგრამ ძლიერი ხასიათი აძლებინებდა.

იმ ხანად, თელავში ცხოვრობდა გერმანე კუხალეიშვილი. ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და სამუდამოდ ერთად ყოფნა გადაწყვიტეს. მას შემდეგ ფშაველი მინდოდაურის ქალი კუხალეიშვილი გახდა. 1938 წელს, სარა კუხალეიშვილი მეუღლესთან ერთად მინსკში დასახლდა. აქ გერმანე შეუდგა სამხედრო სამსახურს. ოქტომბრის რევოლუციაც მასავით 24 წლისა იყო, ძალას იკრებდა, ვითარდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, მაგრამ...

კარზე კაკუნმა გამოაღვიძა. მეუღლეს სასწრაფოდ ნაწილში იბარებდნენ. შუაღამე გადასული იყო... გაისმა ლევიტანის გულისშემძრავი ხმა და ნათელი გახდა ქმრის სასწრაფოდ გამოძახების მიზეზი. საშინელი ტკივილი იგრძნო — არავინ ახლობელი და გულშემატკივარი, მარტოდმარტო ორი პატარა ბავშვით, ირგვლივ უცხო ადამიანები... მაგრამ მაინც არ იყო ცალად. ასე იყო ყველა სამხედრო მოსამსახურის ცოლი. მწუხარება არაფერს უშველიდათ და ქალებმა გადაწყვიტეს მეომრებს სანგრების გათხრაში დახმარებოდნენ. მინსკს უკვე ბომბავდნენ გერმანელთა თვითმფრინავები. იქ დარჩენა შეუძლებელი იყო.

მათი სამხედრო ქალაქი მინსკიდან შვიდ კილომეტრზე მდებარეობდა. ექვსი დღეღამე იარეს ფეხით, ორშამდე ექვსი დღეღამე. საუკუნესავით გაგრძელდა დრო. გზაში რვა თვის გოგონა შიმშილით დაეღუპა. სოფელ ბერეზინაში მოხუც ქალს დაუტოვა მკვდარი ბავშვი. იმის დრო და საშუალებაც არ იყო, თვითონ მიებარებინა მიწისთვის შვილი. ფრთხილად უნდა ევლოთ, მდინარეზე შეიძლება ხიდი აეფეთქებინათ და ვეღარ გააღწევდნენ.

„სოფელი ბერეზინა... ნეტავ თუ უნახავს გოგონას საფლავი?“ გავიფიქრე და უნებლიეთ შევკრთი, რადგან ჩემს ფიქრს ხმამაღლა უპასუხეს: — „არა აქვს ჩემს გოგონას საფლავი...“ დანარჩენი აღარ გამიგია. თვალები ვერ მოვაცილე მის მზერაგაყინულ სახეს, კინოფირივით სწრაფად რომ ჩაურბინეს მაშინდელი დღეების მკაცრმა სურათებმა. და მეც მასთან ერთად დავინახე, როგორ ააფეთქეს გერმანელებმა იმ ღამესვე ხიდი და გადაწვეს სოფელი.

ორშაში ძლივს მოახერხა მატარებელში ჩაჯდომა. 17 საშინელ დღეს კიდევ გაუძლო საქართველომდე. კვლავ შიმშილი. შიმშილი და სიკვდილის შიში... მთავარი მაინც ბავშვი იყო. როგორმე უნდა გადაერჩინა სამი წლის ბიჭი.

— სარა ხომ არა ხარ შვილო? — თელავში ჩასულს ამ სიტყვებით მიმართა დედამ კარგა ხნის ყურების შემდეგ. ჩონჩხზე რომ კაბა გადააცვა, დაახლოებით ისეთი იყო. — თვალები რაღამ შეგიცვალა შვილოო! — ესღა მოახერხა ატირებულმა დედამ და გულში ჩაიკრა სამი წლის უნახავი, ნაწამები შვილი.

თელავიდან მეუღლის სოფელში, ცაგერის რაიონის სოფელ მახურაში წავიდა ბავშვით და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. უჭირდა სოფელს, ძალიან უჭირდა — ქალისა და კაცის საქმე, ორივე, ქალების ამარაღა დარჩა. ყველაფერს ასწრებდა სარა მინდოდაური-კუხალეიშვილი, ყველა საჭირო საქმეში ეხმარებოდა სოფელს. ღამითაც ფხიზლობდა — იჯდა ლამფის შუქზე და ქსოვდა. ქსოვდა წინდებს, თბილ ჯემპრებს და ფრონტზე მეომრებს უგზავნიდა. ვინ იცის, იქნებ ქმარსაც ჩაეცვა მისი მოქსოვილი წინდა.

მას მუდამ სწამდა გამარჯვების. ბოლოს ნანატრი დღეც დადგა. მოსწავლეებთან, გაკვეთილზე მოასკდა სიხარულის ტალღა და პირველად მასწავლებელი ატირდა, მერე ბავშვებიც აჰყვნენ. გაკვეთილზე იყო მაშინაც, მეუღლე რომ შინ დაბრუნდა.

1946 წელს ჩამოვიდნენ ბოლნისში საცხოვრებლად. „ომგადახდილი“ ბიჭი სკოლაში შევიდა, ცოლ-ქმარი მუშაობდა. მერე კიდევ ორი გოგონა შეეძინათ — გაიზარდა და გაძლიერდა ოჯახი.

14 წელია ქ. ბოლნისის № 1 საბავშვო ბაგა-ბაღში მუშაობს. თავდაპირველად ყველა ბავშვს ეძნელება საბავშვო ბაღის გარემოს შეჩვევა. ეძნელებათ ერთად თავმოყრილი ამდენი ბავშვისა და უცხო უფროსების გამო. სწორედ ის არის აღმზრდელის ღირსება, ეს სიძნელე დააძლევინოს, შვილივით მიიჩვიოს მოზარდი.

ასეთი აღმზრდელია სარა ელიზბარის ასული კუხალეიშვილი. მისი აღსაზრდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები დედას შინ ტირილით მიჰყვებიან, არ ეთმობათ თავიანთი მასწავლებელი.

„ობიექტურობა უპირველესი, აუცილებელი თვისებაა პატარებთან ურთიერთობაში, რადგან უცნაური დარდი იციან ბავშვებმა. ოდნავ მეტად მოეფერები ირინას და ნატო მაშინვე განზე გადგება თვალებდასევდიანებული", — ამბობს სარა მასწავლებელი და მართლაც, ყველას თანაბრად უნაწილებს სითბოსა და ღიმილს, მუდამ ზომიერია ალერსსა და დატუქსვაში.

საბავშვო ბაღში პატარა მოქალაქეები ეჩვევიან კოლექტივს, სკოლისთვის ემზადებიან — ანგარიშს, თვლას, სიტყვის დამარცვლას და ბგერებად დაყოფას სწავლობენ. ყველაფერ ამაში რომ დაეხმაროს, აღმზრდელს გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს, განათლებაც და ბავშვის ბუნებაში გარკვევის ალღოც. ეტყობა, უხვადა აქვს ყოველივე ეს სარა მასწავლებელს, ასე გამორჩევით რომ უყვართ პატარებს.

— ელენე, აბა დაითვალე რამდენი ნაძვისხეა აქ? — ეუბნება აღმზრდელი ქერა გოგონას და პატარა, პლასტმასის ნაძვისხეებს აწყობს მაგიდაზე. გოგონა საჩვენებელ თითს მიყოლებით ადებს ნაძვისხეებს და ითვლის: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი. ისევ იწყებს, ახლა უკვე ბოლოდან — ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი.

— ხათუნა, აბა ააშენე სახლი!

ხათუნა წინ დახვავებული გეომეტრიული ფიგურებიდან ოთხ მართკუთხედს გადმოთვლის და სახლის კედლებს აგებს. ახლა სამკუთხედები ჭერის გადასახურად, — ამბობს ხათუნა და თანდათან შენდება სახლი.

— დათო, რამდენ საფეხურს მიუმატებდი კიდევ სახლს?

— სამს, — უპასუხებს დათო და ორსაფეხურიან კიბეს კიდევ სამ საფეხურს „მიუშენებს".

უყურებ და გჯერა ამ მეთოდის სისწორე და უპირატესობა. ბავშვები თამაშობენ და ითვლიან, თამაშობენ და ანგარიშობენ, თამაშობენ და სიტყვას ბგერებად და მარცვლებად ყოფენ. თამაშში სწავლობენ ყველაფერს, ბრმად, მექანიკურად არ იზეპირებენ და ამიტომ აღარასოდეს არ დაავიწყდებათ აქ ნასწავლი.

სამუშაო დღე მიიწურა და ჩვენ ერთად წამოვედით საბავშვო ბაღიდან. მოულოდნელად შედგა, დაიძაბა, ხელები მომუშტა და ძირს ჩამოუშვა. რამდენიმე წამში აღზნებამ გაუარა და ზემოთ აიხედა. მეც ავიხედე და თვითმფრინავი დავინახე. „იმ დღეებიდან მზარავს ეს ხმა!" — ჩუმად წარმოთქვა მან.

მე კიდევ დიდხანს ვფიქრობდი ამაზე. თვითმფრინავის ხმას ჩვენ ისე ვეღარ ვგრძნობთ, როგორც ქუჩაში მანქანებისა და ხალხის ხმაურს. მაგრამ დადის ჩვენს ქალაქში ქალი, რომელიც ათას ხმაში გამოარჩევს ამ ხმას, წამით გაიყინება ადგილზე და საშინელი ფილმის კადრებივით ჩაუქროლებს წარსულის სურათები.

დაიზარდნენ შვილები და თავთავიანთი გზებით წავიდნენ. დროდადრო ჟრიამულით ივსება ეზო, სტუმრად მოდიან შვილები, შვილიშვილები. პატარებს განსაკუთრებით უყვართ ბებიასთან ყოფნა. აქ მათ არაფერს უშლიან. ერთხელ ოთარიმ სახლშიც დაიწყო კარადიდან ჭურჭლის გამოლაგება და როცა დედამ დაუშალა, გაბრაზებითა და კატეგორიულად თქვა: „ბებიასთან რატომ შეიძლება ყველაფერი? წამიყვანეთ ახლავე ბებიასთან!" დედის პასუხზე, რომ შეიძლება რამე გაუტყდეს, ბავშვს გაეცინა; მან იცის, რომ არაფერი არ უნდა გატეხოს, რადგან ბებიამ სთხოვა ყველას, ეცადეთ არაფერი გააფუჭოთ, ეცადეთ არავინ გააბრაზოთ. კი არ აუკრძალა, სთხოვა ბავშვებს და ისინიც ცდილობენ... ასეა, ბებიასი და ბაბუასი ყველაფერი სჯერათ.

სარა მასწავლებელს აქვს თავისი ჰობიც — ქსოვა. როცა ქსოვს ყველა დარდი ავიწყდება, კარგ ხასიათზე დგება და საქმესაც აკეთებს. კიდევ ერთხელ გაახარებს შვილებსა და შვილიშვილებს თავისი ნახელავით. ნახელავს კი ვერავინ დაუწუნებს. თანაბარი, ერთნაირად ამოყვანილი თვლები, უცნაური, ორიგინალური, ლამაზი ნაქსოვი ყველას მოსწონს.

სარა მასწავლებელი გულთბილი, საქმიანი, მუდამ მომღიმარი და ყურადღებიანია. სხვისი სიხარულით ხარობს, სხვისი ტკივილი სტკივა, სხვისი სიცილი აცინებს...

**ნათელა ცხოვრებაშვილი**

*წაუკითხეთ პატარებს*

# აი, რით უნდა ვიამაყოთ

ტყის ქუნქრუკო თავისი ოთხწახნაგოვანი ღეროთი მიწაზე წამოწოლილწამომჯდარიყო, გრძლად წაწვეტიანებული ხაოიანი ფოთლები გაეშვირა და ცას შეჰყურებდა. ტყის ბოლოკამ ღეროს კენწეროზე მტევნად შეკრული ვარდისფერ-მოიისფრო ყვავილები ქუნქრუკოსაკენ დახარა და ჩასძახა:

— სიცოცხლე, აი, იმ ტყის ცერცველას უნდა უხაროდეს. ლამაზიც არის, ხანგრძლივი ყვავილობაც იცის და ნექტარიც უხვად აქვს.

ქუნქრუკომ წამოიწია, გრძელყუნწა ყვავილები შეისწორა და ასძახა:

— მაგან ყვავილობაც ნაირფერი იცის, გაშლისას ალისფერ-წითლად ჰყვავის, მერე ლურჯად იფერება; დაყვავილების წინ კი მომწვანოლურჯი ხდება.

ტყის ბოლოკამ მსხვილად დაკბილული ჩასხასა მწვანე ფოთლები გასწი-გამოსწია და ქუნქრუკოს ღიმილით ჩასძახა:

— ჩემო ქუნქრუკო, არც შენა ხარ ნაკლები, თაფლოვან მცენარედ ითვლები და კარგად ვხედავ, სახელოვანი ფუტკრები და ლამაზი პეპლები რა ხშირი სტუმრები არიან ხოლმე შენი.

— ჩემო კარგო, თაფლოვანი მცენარე ბევრია, აი, ნექტრით მდიდარი ორფოთოლა, ჰეოსა და ნექტარის მომცემი ტყის ღიღილო, ირმისმხალას თაფლიც გემრიელი და სურნელოვანია, თხაწართხალას მომწვანო ფერის თაფლიც ძალიან გემრიელია... ჰო, კარგია უხვნექტარიანობა, ლამაზყვავილიანობა, ხასხასა მწვანე ფოთლებიც მიმზიდველია, მაგრამ ყველაზე უკეთესი ერთგულებისა და სიყვარულის უნარია. თქვენ ტყის ბოლოკები და ჩვენ ტყის ქუნქრუკები, ტყის გარეშე არსად არა ვხარობთ. აბა, სხვა მცენარეები ნახე, ხან სად ამოდიან და ხან სად, ჩვენი სამყოფელი კი მხოლოდ და მხოლოდ ტყეა, გესმის? მხოლოდ და მხოლოდ ტყე. აი, რით უნდა ვიამაყოთ.

— რას ამბობ! რომელი ტყის ბოლოკა დაიდებს სხვაგან ბინას? თუ ტყის გარდა სადმე გამიწიოს გულმა, მაშინ, გამიხმეს ეს ფერადი ყვავილებით დამშვენებული თავი. აბა, აქ ყოფნას რა სჯობს? — თქვა ბოლოკამ და სიყვარულით გადახედა მოშრიალე ხეებით სავსე ლამაზ ტყეს.

— ვაი, ვაი, — შესძახა ქუნქრუკომ. — როგორ დამავიწყდა ჩვენი დობილი პირთეთრა. თუ სადმე ერთგულ მცენარეს ვახსენებთ, სწორედ ჩვენი ქალაქელი ლამაზები უნდა ვახსენოთ. თურმე ქვეყანა რომ მოიარო, პირთეთრას ვერსად იპოვი. მაგრამ თუ მათი ვერცხლის ფოთლებისა და თოვლივით თეთრი ყვავილების ნახვა მოესურვება ვინმეს, მხოლოდ და მხოლოდ თბილისში, მტკვრის პირა კლდის ნაპრალებს და ნაშალზე იხილავს. აი, კიდევ ვინ იცის მშობელი მიწა-წყლის სიყვარული. იცი, კიდევ რა უნდა გითხრა? მაგრამ, აგერ, ჩვენკენ მოიჩქარიან სახელოვანი ფუტკრები და ლამაზი პეპლები, ახლა მათთან მოგვიხდება საუბარი.

ნეტავ რაზე ისაუბრებენ ახლა ეს ლამაზები?...

**ევა ჩაკალიდი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაუფურჩქნელი ყვავილი

ეს ამბავი რვა წლის წინათ მოხდა. ქალაქ რიგაში მოცურავეთა საკავშირო პირველობაზე ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდის წევრი ჭიათურელი მოცურავე გოგონა ლენა ნებიერიძე. შეჯიბრების შემდეგ იგი სახლში დაბრუნებას აღარ დაელოდა. ამ წარმატების შესახებ დედისათვის უნდოდა დეპეშით ეცნობებინა.

ფოსტა-ტელეგრაფისკენ მიმავალი ქუჩაზე რომ გადადიოდა, სწორედ მაშინ მოხდა საზარელი ტრაგედია...

ყველას გული დასწყვიტა ბაფთიანი გოგონას უდროოდ დაკარგვამ. ის, მხოლოდ 14 გაზაფხულს მოესწრო. ლენასაგან მწვრთნელები უმაღლეს სპორტულ შედეგებს ელოდნენ... იგი ნამდვილი ტალანტი იყო. ჟურნალისტებმა „ოქროს თევზად“ მონათლეს. ამ ასაკში სპორტსმენის ამგვარი ეპითეტით შემკობა მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია. სწორედ რომ ღირსეული იყო ქ. ჭიათურის საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე საქართველოს სსრ ნაკრები გუნდის წევრი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლენა ნებიერიძე.

1973 წლიდან გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციამ (რედაქტორი ალიოშა მეცხოვრიშვილი) და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა (თავმჯდომარე ნოდარ გოგისვანიძე) ერთობლივად დააწესეს ლენა ნებიერიძის სახელობის თასზე ცურვაში შეჯიბრების გამართვა. ეს ღონისძიება ყოველი წლის 12 მარტს ეწყობა. ასპარეზობაში ცისფერი ბილიკების ფერიები — მხოლოდ მოცურავე გოგონები მონაწილეობენ. მთავარი პრიზები თამაშდება ლენას საყვარელ სახეობაში 400 და 800 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში. ლენა ნებიერიძის სახელობის მემორიალში ტრადიციულად მონაწილეობენ: რუსთაველი, ქუთაისელი, ბათუმელი და ჭიათურელი მოცურავეები.

წელს მერვედ გაიმართა ეს საინტერესო შეჯიბრება. ქ. ჭიათურის სპორტკომბინატ „მაღაროელის“ 25 მეტრიან ზამთრის დახურულ საცურაო აუზის ფოიეში გაზაფხულის პირველი ყვავილებით იყო მორთული ლენას მოცინარე პორტრეტი. ამჯერად მთავარი პრიზები შესაბამისად მოიპოვეს ჭიათურის მეცხრე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლემ ლალი კაპანაძემ და რუსთავის მეშვიდე რუსული საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ლარისა კურგულცევამ.

შეჯიბრების მსვლელობისას ეთერში გაისმა ახალგაზრდა ჭიათურელი პოეტი ქალის იზო ცარციძის ლექსი, რომელიც მან ტრაგიკულად დაღუპულ თანამოქალაქე სპორტსმენ გოგონას მიუძღვნა. ამ ლექსს ჰქვია „გაზაფხული უშენოდ“...

წყალში დგაფუნებენ ბავშვები, ლენა.
შენ მაგონდები და... ვღონდები,
ია-იებით იჩითება ყველგან —
ღელისპირები და კორდები.
დედას ენამება ცრემლებით თვალები,
კვლავ „ოქროს თევზად“ ელანდები,
გაზაფხული მოდის, პატარა ლენა,
ათასნაირი ფერადებით...
იდექ თმასველი აუზის კიდესთან,
გშვენოდა მოხატული ფარჩა,
ასეთს გადაგიღეს სურათი, იმ დღეს და...
ჩვენთან მოგონებად დარჩა.
შენს სახელს ჩურჩულებს ამ დილით
ნიავი,
და გნატრობ, აქ იყო ახლაც...
იებს მოგიტანდი, პატარა ლენა,
გაზაფხულს გახარებდი ახალს...

**გაბრიელ ბარჯაძე,**
სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლალატი

მიღებაზე ქალი მოვიდა. იგი ცრემლებს ძლივს იკავებდა. თავისი ვინაობა გვიამბო: თითქმის ორი ათეული წელია გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში ვმუშაობო...

— შევცდი, ქსოვილი მოვიპარე, სულ ერთი მეტრი და სამოცდაათი სანტიმეტრი იყო — გაგვანდო ბოლოს.

— მოიპარეთ?

— ჰო, მოვიპარე, დამაკავეს, მომეჭრა თავი!

— მერე?

— მერე... რაღა გითხრათ? ბინის გაფართოების რიგში ვარ 15 წელია, ფაბრიკის ხელმძღვანელობამ უნდობლობა გამომიცხადა და სხვა ფაბრიკაში გადამიყვანეს, რიგს ვკარგავ, მიშველეთ რამე!

— როგორ? ქურდს დავუდგეთ თავდებად?! გარანტია?

— რა ვიცი, — ატირდა ისევ ქალი.— ორი შვილი მყავს, მეუღლემ არაფერი იცის... ღმერთო ჩემო, ეს რა დღეში ჩავვარდი!

პირდაპირ ვუთხარი: თქვენ ბინის რიგის დაკარგვას უფრო დარდობთ თუ ქურდობის ცოდო-ბრალი გაწუხებთ მეთქი.

შეცბა. ასეთ შეკითხვას არ ელოდა. პასუხი გაუჭირდა. უთქმელად ამოვიკითხე ქალის დარდი. — რიგი უფრო აწუხებდა! იგი დავამშვიდე და ვუთხარი, ფაბრიკაში ვიკითხავ, ვინა ხარ, რა ხარ, რა წარსული გაქვს, კოლექტივში რა ავტორიტეტი გაქვს მოხვეჭილი მეთქი.

ფაბრიკის დირექტორმა არსენ რიჟამაძემ მითხრა:

ეს არ იყო პირველი შემთხვევა... ადრეც დავაკავეთ, ვაპატიეთ, მაგრამ ძველი გზა არ დააგდო. რა ვქნათ, გამაგებინეთ.

მოდი და ასეთ შემთხვევაში უთხარი ხელმძღვანელს თუ გული გერჩის რამე კეთილი სიტყვა, აღარაფერი მითქვამს, დავუდასტურე მხოლოდ: სწორად მოქცეულხართ მეთქი!

და როცა ქალი მეორედ მოვიდა ჩვენთან, პირდაპირ შევესიტყვე.

— რატომ დამიმალეთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ იყო?

შეკრთა.

მაშინ ორიოდე მეტრი ქსოვილი გავაყოლე ხელს, ბავშვი პატარა მყავდა, ვიფიქრე პერანგს შევუკერავ მეთქი...

— მერედა, გეთხოვა ფაბრიკის ხელმძღვანელობისათვის, იქნებ არ ეთქვათ უარი და დაგხმარებოდნენ.

— ვეღარ დავმალე გაკვირვება...

— რა ვიცი, ჩემი გამოჩნდა, თორემ...

— ყველამ რომ თითო მეტრი წაიღოს, იქ რაღა დარჩება? ან რას ნიშნავს: ჩემი გამოჩნდაო?! განა ამდენი ხელმრუდე გყავთ? განა კაცს ავ საქმეში უნდა გაეჯიბრო? განა ქურდობა მისაბაძია? რომელი ქურდის კოკა არ შეემსხვრა წყაროს?

იჯდა ქალი და პასუხს ელოდა. ჩემს წინ მარტო ქალი კი არა, დედა იჯდა... თვალწინ წარმომიდგა მისი შვილები. ისიც ვიცოდი, რომ კარგი მოსწავლეები იყვნენ; წარმოიდგინეთ ეს ოჯახი ერთ მყუდრო საღამოს, მაგიდასთან. ვახშამს მიირთმევენ, ბავშვები მხიარულად არიან, მეუღლე თავისას ჰყვება, კედლებიც იცინიან და... ამ დროს დედის გულის წუხილი! დამალოს? და მაინც გვგონია, რომ უნდა გაამხილოს. ასეც ვურჩიეთ, დაე, შვილებმა გაიგონ, რომ ამ გზით სიარული სახიფათოა, ამ გზით შეძენილ პერანგს სითბო არ ექნება, ამ გზით მოწეულ ლუკმას ვერ ჩაყლაპავენ... დედა ტირის, არ შემიძლიაო; შეგიძლია, შენ დედა ხარ! უნდა შესძლო! აი, მაშინ გვექნება უფლება მივიდეთ დირექტორთან (ის კი გულთბილი კაცია) და ვუთხრათ: „იქნებ გაითვალისწინოთ, პატივცემულო დირექტორო, დედის მწუხარება, აღიარება, ოჯახის დიდი წუხილი და რიგი დაუბრუნოთ! ისევ ჩვენ ვიყოთ ჰუმანურნი და კეთილნი, კოლექტივმა იტვირთოს დედის ცოდო-მადლი!“..

მერე ქალი აღარ გამოჩენილა, გვარიც არ ვახსენეთ მისი, გავუფრთხილდით შვილების, ქმრის, ოჯახის ავტორიტეტს. ვთქვათ, ეს სადღაც შორს მოხდა, მაგრამ მაინც ხომ მოხდა! და მით უფრო, ეს ჩვენს გვერდით იყო...

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ყოველივე ნეგატიურს ულმობლად ვებრძვით. ყველაზე მეტად დედებმა უნდა იგრძნონ ეს, რადგანაც მათს კალთაში იზრდება მომავალი, მომავალი კი დედასავით კეთილი უნდა იყოს, დედასავით ახლობელი და შუბლნათელი!

ამ სტრიქონებს ალბათ შენც წაიკითხავ, შენ — დედა! არ მიწყინო, რომ ყველაფერი ქაღალდზე გადავიტანე და ამ წერილს ღალატი დავარქვი. სად გაგონილა დედის ღალატი!

**ბეგლარ ნოზაძე**

## რჩევები

მოსწავლის კაბის თეთრი საყელოს დაკერება და არღვევა ყოველდღე რომ არ მოგვიხდეს, უმჯობესია მის მისაბნევად უკულმა პირზე და კაბაზე დავაკეროთ პატარა კნოპკები.

თარგი, რომელსაც ხშირად ხმარობთ, უმჯობესია ქაღალდის მაგივრად მუშამბისაგან გააკეთოთ. ასეთი თარგი უცვეთელია.

ძილი ქსოვილს არ გახევს, თუ დაკერებისას უკულმა მხრიდან პატარა ნაჭერს ან ძილს დაუტანებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოსტანი საკარმიდამო ნაკვეთზე, ოთახში, აივანზე

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენს რესპუბლიკაში იზღუდებოდა ბოსტნეულის ისეთი დიდმნიშვნელოვანი წყაროები, როგორიც არის კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობანი, რის შედეგადაც გაჩნდა სოფლად მცხოვრებთა მეურნეობებიდან სასაქონლო პროდუქტის გამოსავლიანობის შემცირების და, რაც მთავარია, ოჯახის საჭიროებისათვის ბოსტნეულის კლების არაჯანსაღი ტენდენციები, ამან კი კოლმეურნე გლეხი, ყველა სოფლის მაცხოვრებელი სურსათის მწარმოებლიდან, მის მომხმარებლად გადააქცია.

ამჟამად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული ღონისძიებები იქითკენ არის მიმართული, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება ისეთ დონემდე ავიყვანოთ, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებს ამ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამასთან, უნდა აღმოიფხვრას სეზონურობა ბოსტნეულის მოხმარებაში და მოსახლეობა მთელი წლის განმავლობაში დაკმაყოფილდეს ბოსტნეულით. ახლა, როცა ყოფაცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრდა ცენტრალური გათბობა, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი ამ კეთილშობილურ საქმეში, რადგანაც ბოსტნეულის მოყვანა შეიძლება როგორც საკარმიდამო ნაკვეთებზე, ისე ოთახში და აივანზეც, მართლაც და რა არის იმაზე უკეთესი, საკუთარ ბოსტანში, წლის ყველა პერიოდში, გქონდეთ ისეთი ბოსტნეული, როგორიც არის მწვანილი, მწვანე ხახვი, კიტრი, პამიდორი და სხვ. ამას კი მაშინ შევძლებთ, როცა გვეცოდინება ბოსტნეულ მცენარეთა მოთხოვნილებები გარემო პირობების კომპლექსისადმი და მათზე ზემოქმედების მეთოდები.

## სითბოს რეჟიმი

სითბო აუცილებელია მცენარის ზრდისა და განვითარებისათვის, მაგრამ ყველა მცენარეს და მათ შორის ბოსტნეულსაც სითბოს საკუთარი რეჟიმი ესაჭიროება. სხვადასხვა ბოსტნეული მცენარეები განსხვავებულ ტემპერატურულ პირობებს მოითხოვენ და ეს მოთხოვნა იცვლება ზრდა-განვითარების ფაზებისა და დღისა და ღამის პირობების მიხედვით. მაგალითად, კიტრისათვის ყველაზე საუკეთესო ანუ ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება: თესლის გაღივების ფაზაში — 32°; ღივების აღმოცენებისას — 18°; ხოლო ზრდისა და ნაყოფიერების პერიოდში, თუ ღრუბლიანი ამინდია—25°, მზიან ამინდში — 32°, ღამის საათებში კი ტემპერატურა 18°-ს არ უნდა აღემატებოდეს. პამიდორი კარგად იზრდება 15-დან 29°-მდე, ზრდას აჩერებს 8°-ის ქვევითა და 36°-ის ზევითა ტემპერატურა.

ჰაერის ტემპერატურის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ტემპერატურასაც. რადგანაც მინიმალური ტემპერატურის ქვევით ჩერდება მცენარის ფესვური კვება. მაგალითად: 8-9° ტემპერატურაზე კიტრის ფესვთა სისტემა ისე მცირედ მოქმედებს, რომ ვერ ფარავს მცენარის მიერ დახარჯული ტენის გასავალს, რაც აპირობებს მის სოკოვან დაავადებას, ხოლო, თუ ტემპერატურამ 0,50-მდე დაიწია, იღუპება. დადგენილია, რომ ბოსტნეული კულტურების თესლის გაღვივებისათვის ნიადაგის მინიმალურ ტემპერატურად 14° ითვლება.

ყოველივე ეს კი შემდეგით აიხსნება: თესლის აღმოცენებისას, ღივების ამოსვლამდე, ნიადაგს მაღალი ტემპერატურა ესაჭიროება, რადგანაც ამ პერიოდში მცენარის ჩანასახის ზრდა მიმდინარეობს თესლში არსებული საკვები მარაგი ნივთიერებათა ხარჯზე, რომლის ცხოველმოქმედებისათვის საჭიროა მაღალი ტემპერატურა. აღმოცენების შემდეგ თესლში არსებული მარაგი ნივთიერებები უკვე დახარჯულია და მცენარე გადადის ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული ფესვების მიერ შეწოვილ საკვები ნივთიერებების ხარჯზე. ამ პერიოდში ნიადაგისა და ჰაერის მაღალი ტემპერატურა გამოიწვევს მცენარის გადიდებულ მოთხოვნას საკვებზე, რასაც ვერ უზრუნველყოფს სუსტად განვითარებული ფესვები. ამის გამო შეფერხდება კვება და მცენარის შემდგომი ზრდა-განვითარება.

ყვავილობის დროს, შედარებით დაბალი ტემპერატურა იმიტომ არის საჭირო, რომ მაღალ ტემპერატურაზე მტვრიანები სიცოცხლის უნარს ვეღარ ინარჩუნებენ და კარგავენ დამტვერვის (განაყოფიერების) უნარს. ნაყოფის ფორმირებისა და ნაყოფიერების პერიოდში ტემპერატურა უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ზრდის დროს.

დღისით ჰაერის მაღალი ტემპერატურა საჭიროა მცენარის მიერ მზისა და ჰაერის ურთიერთმოქმედებით საკვები და სამარაგო ნივთიერებების დამზადებისათვის, ე. ი. ასიმილაციის პროცესისათვის. ღამით კი ასიმილაცია არ ხდება, მაგრამ სუნთქვა გრძელდება. ამიტომ, რაც უფრო მაღალი იქნება ტემპერატურა, მით უფრო ენერგიული იქნება სუნთქვა, ეს კი გამოიწვევს საკვები ნივთიერებების ხარჯვას. ამიტომ არის საჭირო, რომ ღამით ტემპერატურა 5-7°-ით უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე დღისით.

ბუნებრივ პირობებში, ტემპერატურის ასეთი რეგულირება, ადამიანის ჩაურევლად ხდება, მაგრამ დახურულ გრუნტში და ოთახის პირობებში, როცა ბოსტნეულს ფანჯრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფაზე ან აივანზე ვზრდით, ტემპერატურული პირობების რეგულირება ჩვენ უნდა მოვახდინოთ. ოღონდ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყველა ბოსტნეული კულტურა ერთნაირად ტემპერატურას არ მოითხოვს. სითბოს რეჟიმის მიხედვით ისინი იყოფიან ორ ჯგუფად: — სითბოს მოყვარულებად და სიცივის ამტანებად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან: პამიდორი, ბადრიჯანი, წიწაკა, კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ლობიო, რეჰანი, და სხვ. ეს მცენარეები ტემპერატურის დაწევისას 0°-მდე იღუპებიან, ხოლო კიტრი, პამიდორი, ლობიო, ბადრიჯანი და წიწაკა იღუპება 3°-ზე. მეორე ჯგუფის მცენარეებს მიეკუთვნებიან: სტაფილო, ოხრახუში, ნიახური, ძირთეთრა, ჭარხალი, ხახვი, სალათა, კომბოსტო, ბოლოკები, ისპანახი, ტარხუნა, მჟაუნა და სხვ. ესენი იტანენ გაზაფხულისა და შემოდგომის წაყინვებს 5-7°-ის ფარგლებში. მოზრდილი მცენარეები კი უფრო მეტს. მაგრამ ყველა მცენარე ყინვებს ვერ უძლებს, თესლიდან აღმოცენებული ღივების გამოჩენის ფაზაში, რადგანაც, ამ დროს მდიდარია წყლით, სუსტად არის განვითარებული მექანიკური და გამტარი ქსოვილები, აქვთ ნაზი და გაუხეშებელი კანი და მცირე მარაგი საკვები ნივთიერებებისა.

## სინათლის რეჟიმი

მცენარის ზრდა და განვითარება დამოკიდებულია განსაზღვრული ხარისხის სინათლესთან ზრდის დანარჩენი ფაქტორების ურთიერთმოქმედებაზე. მხოლოდ სინათლეზე მიმდინარეობს ასიმილაცია (ფოტოსინთეზი), რომლის საშუალებით მცენარე ამზადებს და აგროვებს თავისი ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო სხვადასხვა ორგანულ ნივთიერებებს.

ბოსტნეული მცენარეების მოთხოვნა სინათლის რაოდენობასა და ხარისხზე, აგრეთვე განათების ხანგრძლივობაზე ძალიან განსხვავებულია. განსხვავებულია მოთხოვნილება სინათლეზე ზრდის სხვადასხვა პერიოდშიც. მაგალითად, სინათლისადმი დიდი მოთხოვნილებით ხასიათდება: პამიდორი, ლობიო, ბადრიჯანი, საზამთრო, ნესვი, კიტრი და სხვ. შედარებით ნაკლებ მომთხოვნია: ნიორი, თავიანი ხახვი, ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო, უფრო ნაკლებ განათებას ეგუება: — სალათა, ისპანახი, რევანდი და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათების ხანგრძლივობას, რადგანაც ბოსტნეული მცენარეები ხანგრძლიობისადმი სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენენ, ზოგი მოითხოვს გრძელ დღეს, ზოგი მოკლეს. ამიტომ იმის ცოდნა თუ, ვადაზე ადრე, როგორი განათების პირობებში შეგვიძლია მივიღოთ უჭვი მოსავალი, საშუალებას მოგვცემს ჩვენს სასარგებლოდ ვმართოთ ბოსტნეული მცენარეების ზრდა-განვითარება, განსაკუთრებით დახურულ გრუნტში და ოთახის პირობებში. მაგალითად, თუ გვინდა მივიღოთ სალათისა და ისპანახის ფოთლების დიდი რაოდენობა და დავაგვიანოთ მათი აყვავება, ისინი განათების ქვეშ უნდა მოვაქციოთ 12 საათზე ნაკლებ ხანს. თვის ბოლოს, თუ გამოვზრდით 10 საათიან დღეზე, ის შემოდგომის დაწყებამდე არ აყვავდება, ძირხვენა კი საკმაოდ დიდი გაიზრდება, რომლის წონამ შეიძლება 300 გრამს გადააჭარბოს. კიტრისა და პამიდორის მრავალი ჯიში განათების ხანგრძლივობის 12 საათამდე შემცირებისას, ადრე ყვავილდება და უფრო უხვად მსხმოიარობს. ლობიოს მცენარეები 12 საათიან დღეზე 9 დღით ადრე აყვავდება და სამჯერ მეტ მოსავალს მოგვცემს, ვიდრე 16 საათიან განათების პირობებში.

ჭარბი სინათლე აფერხებს ასიმილაციის პროცესს. ეს განსაკუთრებით შუადღეზე ზაფხულის ცხელ დღეებში შეიმჩნევა. ნაკლები განათებაც უარყოფითად მოქმედებს მცენარეებზე — იწოწებიან და მოსავალს არ იძლევიან. მაგალითად, ამით აიხსნება, რომ ხშირად ნათესი სტაფილოს და ხახვის მოსავალი კლებულობს, თუ დროზე არ გაიმარგლა.

ამგვარად, სხვადასხვა ბოსტნეული მცენარეების მოთხოვნა, სინათლის რაოდენობისა და განათების ხანგრძლივობაზე, ძალიან განსხვავებულია. ვინც ამას სწორად შეიცნობს, მას შეუძლია სინათლის რეჟიმის რეგულირების თვალსაზრისით, დათესვისა და დარგვის დრო სწორად განსაზღვროს, რაც უფრო ადვილია ოთახის პირობებში.

სინათლის მთავარი წყარო მზეა, მაგრამ მზის სინათლე ჩვენს რესპუბლიკაშიც ბოსტნეული კულტურების ნორმალური განვითარებისათვის, ნოემბრიდან თებერვლამდე საკმარისი არ არის. ამიტომ განათების გასაძლიერებლად და გასახანგრძლივებლად იყენებენ ელექტროშუქს. ცდებით დადგენილია, რომ კიტრისა და პამიდორის მოყვანა თავისუფლად შეიძლება მარტო ელექტროშუქზეც. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა, როცა დღეს ვახანგრძლივებთ ელექტროშუქით. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილი ცდებით დადგენილია, რომ დამატებითი ელექტროგანათება დღის სინათლის ნათურებით, ორჯერ ამცირებს კიტრისა და პამიდორის გამოზრდის პერიოდს. 21-30 დღით აჩქარებს მსხმოიარობას და 25-40 პროცენტით ადიდებს მოსავლიანობას.

## წყლის რეჟიმი

წყალი მცენარის სიცოცხლის ერთ-ერთი აუცილებელი ძირითადი ფაქტორია; წყალში იხსნება ნიადაგის მინერალური ნივთიერებები, რომელნიც, მცენარის ფესვებით შეიწოვება და მის ფოთლებში გარდაიქმნება მცენარისათვის საჭირო საკვებ ნაერთებად. თვით ბოსტნეული მცენარეების 85-95 პროცენტს წყალი შეადგენს. და იგივე მცენარე ზრდის სხვადასხვა ფაზაში სხვადასხვა მოთხოვნებს აყენებს ნიადაგის ტენიანობის მიმართ. თესლი გაჟივებისა და გაღივების დროს დიდ ტენს მოითხოვს, აღმოცენების შემდეგ ეს მოთხოვნილება მკვეთრად მცირდება. ზრდასთან დაკავშირებით ტენის მოთხოვნილება კვლავ იზრდება, ყვავილობის დროს მცირდება, ხოლო ნაყოფიერების დროს კვლავ დიდდება. საერთოდ, კი რაც უფრო ცხელი და მშრალია ჰაერი, მით უფრო მეტია წყლის მოთხოვნილება.

დიდი მნიშვნელობა აქვს შეფარდებით ტენიანობასაც (ანუ ჰაერის გაჯერებას წყლის ორთქლით), ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და დაბალი შეფარდებითი ტენიანობის დროს მცენარე ჭკნება. მაგრამ, ყველა მცენარე ერთნაირი მომთხოვნი არ არის ჰაერის ტენიანობის მიმართ. მაგალითად, კიტრსა და პამიდორს ტენიანი ნიადაგი უყვართ, მაგრამ კიტრი კარგად იზრდება და მსხმოიარობს ჰაერის მაღალი შეფარდებითი ტენიანობის დროს. (85-95 პროცენტი). — პამიდორს კი ზომიერი შეფარდებითი ტენიანობა უყვარს (60—70 პროცენტი).

ამრიგად, ბოსტნეული კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის როგორც ნიადაგში, ისე ჰაერში, საჭიროა განსაზღვრული ტენიანობა. როგორც უკმარისობა, ისე სიჭარბე მავნებელია.

ტენისადმი მოთხოვნილების მიხედვით ძლიერ მომთხოვნებად ითვლებიან სალათა, ისპანახი, ნიახური, კომბოსტო, ბოლოკები და სხვ. მომთხოვნებად: კიტრი, ბადრიჯანი, ხახვი, პამიდორი, წიწაკა, ნაკლებ მომთხოვნებად კარტოფილი, ჭარხალი, სტაფილო, ლობიო, ტარხუნა, რევანდი სატაცური. გვალვის ამტანებად: საზამთრო, ნესვი, გოგრა. რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა პირობითია, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვის რეჟიმის სწორად შემუშავებაში.

ოთახის პირობებში წყლის რეჟიმის რეგულირება შეიძლება მორწყვით, ხოლო ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის მოწესრიგება მცენარეზე წყლის შესხურებით, გასათბობ მოწყობილობებზე სველი ჩვრის გაფენით და ჭურჭლებიდან წყლის აორთქლებით. ღია გრუნტში კი ნიადაგის ტენის დაზოგვა და რეგულირება მორწყვით, გაფხვიერებით, სახნავი ფენის გაღრმავებით, ორგანული სასუქის შეტანით, მზრალად დამუშავებით და სხვა ღონისძიებებით არის შესაძლებელი.

ამჟამად, დაწვიმებით მორწყვა ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად არის აღიარებული, რადგან ამ დროს შესაბამისად იზრდება ჰაერის შეფარდებითი ტენიანობაც: საერთოდ კი უკეთესია ხშირი მორწყვა მცირე დოზებით, ვიდრე იშვიათი მორწყვა დიდი დოზებით.

ივანე ჯანიკაშვილი,
აგრონომი.

## შემოდგომის მოტივები



მოდების ავტორი მხატვარი-მოდელიორი ი ა ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე.

გარეკანის პირველ გვერდზე—„რთველი—80“; ნ ო რ ა ა ნ თ ი ძ ი ს ფერადი სლაიდი.
მეოთხეზე — „შემოდგომა“ — ფოტოეტიუდი.


| | | |
|---|---|---|
| რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი | სარედ. კოლეგია: გ. განძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ულენტი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი). ტექრედაქტორი ნ. ბ უ კ ი ა | საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა |

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №,№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/IX-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X-80 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.2
ტირაჟი 134.100. შეკვ. 2415. უე 00724.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველა ჟურნალისა და გაზეთის რედაქციების სასურველი სტუმარი გახლდათ ნორა ანთიძე.

მის გემოვნებით გადაღებულ, საინტერესოდ მოძებნილ ფოტოილუსტრაციებს არაერთხელ დაუმშვენებია „დროშის", „საქართველოს ქალის", „საქართველოს ბუნების", „საქართველოს სოფლის მეურნეობის" გარეკანები და მრავალფეროვანი თემებისადმი მიძღვნილი მხატვრული ჩანართები. ყველა თემა თითქმის ერთნაირად იტაცებდა, ყველა თემას ერთნაირი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ეკიდებოდა. სიცოცხლე უნდოდა, ადამიანები უყვარდა, ყველა სულდგმული უყვარდა, ყვავილები და ბუნება იზიდავდა. მისმა თემას მისადაგებულმა ფოტოილუსტრაციებმა არაერთხელ გაამდიდრა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული ნარკვევები, ჩანახატები, რეპორტაჟები; მრავალათასიანი მკითხველის მოწონებასაც ამიტომ იმსახურებდა.

ნორა ანთიძე პირველი ფოტოხელოვანი ქართველი ქალი გახლდათ, აპარატმომარჯვებულმა რომ შემოიარა საქართველოს მთა და ბარი... ფერისა და კომპოზიციის საოცარი შერწყმა, სიახლის დაუოკებელი ძიება ახლდა თან ამ მოგზაურობებს. ასე იშვა მისი ნამუშევრების სერია: „ზღვასთან", ვურიის პეიზაჟი", „გაზაფხული მთაში", „თოვლი", „პაკურიანი", „რთველი კახეთში", „პიონერული ლაშქრობა ვარძიაში", „ჩანჩქერთან", „ბონდის ხიდი", „შემოდგომა"...

შარშან გაზეთ „კომუნისტის" მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსში გამარჯვებულად ცნეს ნორა და სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს ნამუშევრისთვის — „სასიმინდეში".

გაზაფხულის პირველ მაცნესავით შემოაღებდა რედაქციის კარს, შემოგვთავაზებდა დროის შესატყვის ფოტომასალას. მუდამ ისეთი მოკრძალება და კდემამოსილება იყო ხოლმე ამ შემოთავაზებაში, ქართველ დედას, ოჯახისა და შვილების მოყვარულ ქალს რომ სჩვევია.

„აყვავებული ნუში", „ყაყაჩოების ველი", „პირველი ხნული" — ასეთი ნათლობა მიმისმა ფერადმა სლაიდებმა.
ილეს რედაქციაში ჯერ ისევ გაუშრალმა

ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი გახლდათ-მეთქი, გვთავაზობდა სხვადასხვა თემაზე შექმნილ ფოტომასალებს, შრომის თემის ამსახველ ფოტოეტიუდებს.

ბავშვების სიყვარულმა თუ მიიყვანა ნორა ანთიძე რესპუბლიკურ მუსიკალურ საშუალო სკოლა-ინტერნატში, ბავშვების სიყვარულში გალია ნაყოფიერი მოღვაწეობის ბოლო ოცი წელი. ეს იყო მისთვის ყველაზე დიდი, სერიოზული და ძალზე პასუხსაგები საქმე: ნორჩების აღზრდა, მათში სასიკეთო ჩვევების გაღვივება, პატრიოტიზმის ჩანერგვა...

მეცხრე ხუთწლედის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს. ბევრს მოგზაურობდა სკოლა-ინტერნატის ბავშვებთან და საგუნდო კაპელა „ივერიასთან" ერთად როგორც ფოტოკორესპონდენტი, სკოლა-ინტერნატის პარტბიუროს მდივანი და დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. ამ მუშაობით გარკვეული წვლილი შეიტანა სკოლის მატიანის შექმნა-გამდიდრებაში.

ამ ნომრის გარეკანი მისი ბოლოდროინდელი ნამუშევარია. ფოტოხელოვანმა ქალმა პირობითად „რთველი-80" უწოდა მას. ვაი რომ, იგი ვეღარ მოესწრო ამ ნომრის ხელში აღებას და ვერც ამ დიდებულ საშემოდგომო დღესასწაულს ჩვენს რესპუბლიკაში.

ნანული ბუკია



ფასი 80 კაპ. ინდექსი 76178